

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თსუ-ს 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი  
სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „თსუ-105“

## თ ე ზ ი ს ე ბ ი



1-2 თებერვალი,  
2023



**საორგანიზაციო კომიტეტი:**

პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი

პროფესორი დარეჯან გარდავაძე

ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი

დოქტორანტი ანა მინდიაშვილი

## **გიორგი არქანია**

### **ქართველი დისიდენტების ბრძოლა ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დასაცავად XX საუკუნის 70-იან წლებში**

1970-იან წლებში საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ ფაზაში გადავიდა - მან საკუთარი ტაქტიკა საბჭოთა კავშირის მასშტაბით დაწყებულ დისიდენტურ მოძრაობას დაუკავშირდა, რათა საქართველოსთან დაკავშირებული საკითხები დასავლეთისთვის დისიდენტური მოძრაობის მეშვეობით გაეცნო. 1975 წელს საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერა „ჰელსინკის აქტს“, რომელიც მას ავალდებულებდა ადამიანის უფლებათა დაცვასა და უფლებათა დაცვის პროცესის მონიტორინგის დაშვებას. მალევე საბჭოთა კავშირის მთავარ ცენტრებში უფლებადამცველი ორგანიზაციები ჩამოყალიბდა, მათ შორის ერთ-ერთი პირველი იყო „საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი“, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მეთაურობით. მათ გარშემო დისიდენტთა მცირერიცხოვანი ჯგუფი შეიკრა.

ქართველი დისიდენტები გამოსცემდნენ არალეგალურ ჟურნალებს („ოქროს სანძისი“, „საქართველოს მოამბე“), ავრცელებდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ აკრძალულ ლიტერატურას (მაგალითად, ალექსანდრ სოლჟენიცინის „არქიპელაგი გულაგი“), საქართველოსთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე ინფორმაციას აწვდიდნენ მოსკოვის დისიდენტურ წრეებსა და დასავლეთის მედიასაშუალებებს. თავიანთ ჟურნალებსა თუ უცხოეთში გამოქვეყნებულ მასალებში ისინი აქტიურად ეხებოდნენ ადამიანის უფლებათა დაცვის, ეროვნული დამოუკიდებლობის, მართლმადიდებლური ეკლესიის, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, პატიმართა წამებისა და სხვა საკითხებს.

ჩვენი მოხსენება შეეხება ქართველი დისიდენტების ბრძოლას ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დასაცავად. ამ მიმართულებას ისინი დიდ ყურადღებას აქცევდნენ, რადგან საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ მრავალი ძეგლი განადგურდა, დაზიანდა და სერიოზული საფრთხის წინაშე დადგა. მოხსენებაში ყურადღებას ვამახვილებთ 1970-იანი წლების საბჭოთა საქართველოში ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მდგომარეობის საკითხზე, რა ღონისძიებებს მიმართავდა მათ შესანარჩუნებლად საბჭოთა ხელისუფლება, რა ფორმით ეხებოდა ამ საკითხს ქართული დისიდენტური მოძრაობა, რომელი ძეგლების საკითხი იდგა ყველაზე მწვავედ, რა მეთოდებით ცდილობდნენ დისიდენტები აღნიშნული საკითხისადმი ქართული და საერთაშორისო საზოგადოების მიპყრობას და სხვა.

## **გიორგი ბარნაბიშვილი**

**გიორგი სააკაძის ვაჟის ავთანდილისა და იმერეთის მეფის გიორგი III-ის ასულის, ხვარამზეს, ქორწინების საკითხი გიორგი სააკაძის თეიმურაზ მეფისგან განდგომის პირველი ნიშანი?**

საქართველოსა და, ზოგადად, სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ერთეულებისათვის XVI-XVII საუკუნეები ურთულესი პერიოდი იყო. პერიოდი, როდესაც ორი ისლამური სახელმწიფოს მიერ წარმოებულმა ომებმა ამ ტერიტორიაზე თითქმის გაჩანაგების პირას მიიყვანა მაშინდელი საქართველო, მისი ეკონომიკის წამყვანი დარგები (სოფლის მეურნეობა და ა. შ.) და სხვა რიგი სფეროები. „საქართველოები“, ანუ, ქართული სამეფო-სამთავროები თავისი მეფე-მთავრებით ლავირების პოლიტიკას ატარებდნენ, ზოგი საკუთარი პოლიტიკური ერთეულების გადარჩენისათვის, ზოგიც კი, ძირითადად, ქართლის სამეფო, ერთიანი საქართველოს ინტერესიდან ამოდიოდა.

საქართველოს ისტორიაში, XVII საუკუნეში, გამოჩნდა ორი პიროვნება, თეიმურაზ I და გიორგი სააკაძე, რომელნიც საქართველოს ისტორიის აღნიშნული პერიოდის ძალზედ მნიშვნელოვან და პროცესების განმსაზღვრელ პოლიტიკურ ფიგურებს წარმოადგენდნენ. ასეთი მნიშვნელობის პიროვნებების აღწერისას ისტორიოგრაფიაში ხშირად ვხვდებით ორ, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ მოსაზრებას, რაც გამოიხატება ამ ადამიანების პოლიტიკური სახის ძალზედ გაზვიადებაში ან, პირიქით, ძალზედ დაკნინებაში.

საინტერესოა, თუ რამ განაპირობა მეფესა და სააკაძეს შორის გაჩენილი დაპირისპირება. ჯერ კიდევ მეფისა და სააკაძის ღიად დაპირისპირებამდე წარმოქმნილი წინააღმდეგობები, რომელიც შესაძლოა თავად მოურავმა გამოწვივა. ამის შესახებ, საუბარია სარგის კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებულ საბუთში, რომელსაც იგი 1615 წლით ათარიღებს, მაგრამ, მოგვიანებით, საბჭოთა ისტორიოგრაფიამ იგი ხელახლა დაათარიღა, 1625 წლით. შევეცდებით ამ საბუთის, სხვა წარათიული წყაროებისა და ისტორიოგრაფიის მიხედვით წარმოვაჩინოთ, თუ რას ითვალისწინებდა იმერეთის მეფესა და მოურავს შორის დადებული გარიგება მათი შვილების დაქორწინებასთან დაკავშირებით. გრძელვადიან პერსპექტივაში ხომ არ მიანიშნებს, რომ სააკაძე სამომავლოდ მტკიცე მოკავშირეს ეძებდა მეფესთან მოსალოდნელი დაპირისპირების წინ, და ეს კავშირიც სწორედ ამის დასტური იქნებოდა.

## **ციური გვენტაძე**

### **გველის მითოლოგიური სახე „ვეფხისტყაოსანში“**

გველი ერთ-ერთი უძველესი და ფართოდ გავრცელებული სიმბოლოა მსოფლიო კულტურაში. მისი ბუნება ამბივალენტური ხასიათისაა. ამიტომ მისი სახე სხვადასხვა მითოლოგიაში წარმოდგენილია როგორც ბოროტი, ისე კეთილი გამოვლინებებით. გველის ორგემაგე ბუნება და მისი კავშირი არა მხოლოდ ბოროტებასთან (ეშმაკთან), არამედ სიკეთესთანაც (ღმერთთან) დადასტურებულია თითქმის ყველა ხალხის ფოლკლორში. გველი არ გვევლინება მხოლოდ რაიმე კონკრეტულის სიმბოლურ ნიშნად, არამედ გამაერთიანებელი სიმბოლოა, ზოგჯერ ცალსახად ურთიერთსაპირისპირო ცნებათა.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი გველის მითოსურ ასპექტებს სიმბოლურ-მეტაფორული მნიშვნელობით იყენებს. გველი ეპოსში ძალიან დიდი ფუნქციის მატარებელია, რომელშიც ერთიანდება როგორც მითოსური, ისე ქრისტიანული ასპექტები. ეპიკურ თხზულებაში გველი მხოლოდ უარყოფითი დატვირთვით არ გვხდება და დადებით ფუნქციასაც ასრულებს, ე. ი. მხოლოდ ბოროტების სახე-ხატად ვერ ჩაითვლება.

## **ნინო გიორგაძე**

### **გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურღამდის“ პერსონაჟები**

გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურღამდის“ ასახავს 1831 წლის მოვლენებს. 1832 წელს, როდესაც გრიგოლი შეთქმულებაში მონაწილეობის გამო დააპატიმრეს, თხზულება პოეტის სხვა ხელნაწერებთან ერთად ნიკოლოზ I-ის მთავრობამ შეთქმულების საქმეებს დაურთო. ეს ხელნაწერები საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა 1928 წელს, როდესაც პავლე ინგოროყვამ პირველად გამოაქვეყნა „მგზავრობის“ ტექსტი და გრიგოლის უცნობი ლექსები.

ნაწარმოების კომპოზიციურ ღერძს წარმოადგენს გრ. ორბელიანის გამგზავრება საქართველოდან რუსეთში და მის მიერ ნანახისა და განცდილის გადმოცემა. აღსანიშნავია, რომ მოგზაურობის სიუჟეტი პოპულარულია მსოფლიო ლიტერატურაში და თემათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

გრიგოლი ნაწარმოებში „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურღამდის“ წარმოგვიდგენს თავის დამოკიდებულებას მეფე ერეკლესადმი, გვიამბობს დუშეთის გალავნის მამუნებელ ჭიმშერ არაგვის ერისთავის, ზაქარია ქიზიყის მოურავისა და მისი ცოლის შესახებ. პოეტი ცდილობს გზა, რომელსაც გადის საოცარი ბუნების სურათებით, საინტერესო ინფორმაციით შეავსოს და

გააფერადოს. მეტად ინფორმაციულია გრიგოლისეული ეთნოგრაფიული აღწერა-დახასიათება ყაბარდოელი ხალხისა, მისი დაკვირვებები სოფელ სივანში ნახული ტაძრის შესახებ და სხვა.

გრიგოლ ორბელიანი მგზავრობის დროს ხვდება ადამიანებს და მათთან საუბრის დროს გამოაქვს საინტერესო დასკვნები და შეფასებები. მაგალითად, პოეტი ლარსს შეხვდა ორ პიროვნებას, რომელთა სახელებს არ ასახელებს. გრიგოლი მათთან საუბრის შემდგომ ასკვნის, რომ საზოგადოებას განშორებული ადამიანი ნიღაბს იხსნის და არ ცდილობს თავისი ნაკლოვანებების დამალვას.

სტავროპოლში ყოფნისას გრიგოლმა რუს გენერალთან ერთად ისაძილა. პოეტი დიდად გაუხარებია სადილზე ქართული სუფრის ხილვასა და გენერლის საქართველოსადმი კეთილ დამოკიდებულებას.

სტავროპოლში გრიგოლი შეხვდა ივანე აფხაზსაც და მასთან ისაუბრა საქართველო-რუსეთის კავშირზე. ამ დიალოგში იკვეთება ქართველი პოეტისა და 1832 წლის შეთქმულთა ზოგადი იდეოლოგია. ამიტომაც, აუცილებელია ამ ტექსტის გათვალისწინება გრიგოლის, როგორც 1832 წლის აჯანყებაში მონაწილე პირის იდეოლოგიის გასაცნობად, ისე თავად აჯანყების მონაწილეთა იმედებისა და მოლოდინების გასაცნობად.

## **ნანა გოგია**

### **კვაზინორმირებული ურთიერთობის საკითხი ჰალით ზია უშაკლიგილის რომანში „აკრძალული სიყვარული“**

თურქული ლიტერატურის განვითარების მნიშვნელოვან საფეხურს Ser-vet-i Fünun-ის (ცოდნის საგანძური) მწერლობა წარმოადგენს. ყოველი ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა, თუ პერიოდი, ან უკვე არსებული ლიტერატურული პერიოდის გარკვეული რეაქციის სახით წარმოიქმნება და ვითარდება. მწერლები და პოეტები ქვეყანაში მიმდინარე შიდა თუ საგარეო ვითარებას საკუთარი თვალსაზრისიდან და რეალობიდან გამომდინარე აფასებენ და ნააზრევი პროზისა და პოეზიის ნიმუშების სახით მკითხველამდე მიაქვთ. ჰალით ზია უშაკლიგილი (1866-1945) Ser-vet-i Fünun-ის (ცოდნის საგანძური) მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი დიდ ადგილს უთმობს გმირების სულიერი სამყაროს ფსიქოლოგიური კუთხით წარმოჩენას. აღსანიშნავია მწერლის დამოკიდებულება გარემოსადამი, გმირების ხასიათი კარგად იკვეთება გარემოსთან მათ დამოკიდებულებაში. რომანი „Aşk-ı Memnu“ (აკრძალული სიყვარული) ორიენტირებულია საზოგადოებაში პიროვნებებს შორის ურთიერთობებზე. მწერალი ადამიანებს შორის ურთიერთობის დასაწყისს, განვითარებას და დასასრულს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. იგი ორი ოჯახის ისტორიას აღწერს, რომელთა გზების გადაკვეთის შემდეგ ოჯახის წევრების ცხოვრება რადიკალურად იცვლება. აქვე უნდა დავსძინოთ,

რომ მოვლენები ჩაკეტილ სივრცეში ხდება, ანუ აღნიშნულ ოჯახებს სხვა ოჯახებთან ურთიერთობა არ აქვთ. მწერალი კონკრეტულ პირობებში, გარემო ფაქტორებიდან გამომდინარე გმირების ქცევას აკვირდება. სიუჟეტის განვითარების მასტიმულირებელი, კონფლიქტის წარმოშობის მიზეზიც ოჯახის ერთ-ერთი წევრია. ჰალიდ ზია უშაკლიგილი ბალზაკის, ზოლას და ფლობერის მსგავსად გმირების ხასიათსა და მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. რომანში „აკრძალული სიყვარული“ მოვლენები გმირების ხასიათს განსაზღვრავენ. პერსონაჟების ერთმანეთთან დამოკიდებულება შესაძლოა სამი მიმართულებით განვიხილოთ და გავაანალიზოთ:

ა) მამის და ქალიშვილის ურთიერთობა (ადნან ბეი - ნიჰალი)

ბ) დედისა და ქალიშვილის ურთიერთობა ( ბიჰთერი - ფირდევეს ჰანიმი)

გ) გერისა და დედინაცვალის ურთიერთობა (ნიჰალი - ბიჰთერი)

გმირებს შორის ურთიერთობა ერთი შეხედვით საზოგადოების მიერ ჩამოყალიბებულ ნორმებს შეესაბამება. ადნან ბეის ოჯახი მორალური თვალსაზრისით უზადო ოჯახის მაგალითია. თუმცა, ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობა ფსევდოსიყვარულსა და ფსევდოპატივისცემას ემყარება.

## **მარიამ გოგუაძე**

### **სა – ო ცირკუმფიქსით ნაწარმოებ**

#### **ახალგაჩენილ ლექსემათა შესახებ სპორტის დისკურსში**

ახალი ლექსიკური ერთეულების შესაქმნელად ენა ხშირად მიმართავს აფიქსურ წარმოებას. ქართული დერივაციული აფიქსები – პრეფიქსები, სუფიქსები, პრეფიქს-სუფიქსები (ცირკუმფიქსები) – მრავალგვარ მნიშვნელობას გამოხატავენ. თითოეულ მათგანს უმეტესად ერთი კონკრეტული სემანტიკური ჯგუფის სახელთა წარმოქმნა და ამ ჯგუფის წევრთა გარკვეული ფუნქციით აღჭურვა ეკისრება. ამავე დროს, ესა თუ ის შინაარსი შეიძლება სხვადასხვა მაწარმოებლითაც გამოიხატოს, მაგალითად, უქონლობის აღმნიშვნელ წარმოქმნილ სახელებში რაოდენობრივად უპირატესი უ – ო ცირკუმფიქსით მიღებული სიტყვებია, ამავე შინაარსის გამოსახატავად უ – ურ (//უ – ულ) ცირკუმფიქსითა და ოდენ უ- პრეფიქსით ნაწარმოები სახელები გაცილებით ნაკლებია. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთი და იმავე მაწარმოებლით წარმოქმნილი სახელები სემანტიკურ სხვაობასაც გვიჩვენებენ, მაგალითად, მე – ე ცირკუმფიქსით ნაწარმოები სახელები ყოველთვის ხელობა-პროფესიის აღმნიშვნელებად არ გვევლინებიან, ასეთებია: მე-ოცნებ-ე, მე-ანაბრ-ე, მე-მკვიდრ-ე და სხვ.

ჩვენი დაკვირვების საგანია სპორტის დისკურსში დადასტურებული სა – ო ცირკუმფიქსით ნაწარმოები ახალგაჩენილი სიტყვები. სა – ო ცირკუმფიქსული მოდელი ყველაზე პროდუქტიული მოდელია თანამედროვე ქართულში



დანიშნულება-განკუთვნიების სემანტიკის გამოსახატავად. დასახელებული აფიქსები დაერთვის როგორც ქართულ, ისე უცხო წარმომავლობის სიტყვებს, თითქმის ყველა მეტყველების ნაწილს, მარტივსა და რთულფუძიან სახელებს.

სპორტის ჟურნალისტები, რომელთა მთავარი მიზანი მეტყველების საკუთარი სტილის შექმნაა, სიტყვანარმოების მხრივაც გამოირჩევიან და ენაში არსებული მოდელისთვის განსხვავებულ მასალას ირჩევენ, ისინი სანარმოებელ ფუძედ იყენებენ:

უცხო ენიდან უთარგმნელად შემოსულ ნასესხებ სიტყვებსა და ტურნირის სახელწოდებებს:საპლეიოფო, საოლსტარო, საევროლიგო, სასუპერთასო;

შეთანხმებულ და გენიტივიან მსაზღვრელ-საზღვრულს: საპირველადგილო, საპირველწრეო, სამსოფლიოჩემპიონატო, სამსოფლიოთასო, სადევის(ის) თასო, საბალახსაფრო, საოთხთაფინალო;

შეჯიბრების ეტაპთა აღმნიშვნელ სახელებს: სამერვედფინალო, სამეთხედფინალო, სანახევარფინალო....

განხილული მოდელით ნაწარმოები რთული სიტყვების ფუძედ საანალიზო მასალაში შეგვხვდა ორ- და სამშემადგენლიანი იმგვარი შესიტყვებებიც, რომლებშიც ჩვენებითი ნაცვალსახელი მონაწილეობს, ასეთებია, მაგალითად: საამმომენტო(დ), საამსეზონო(დ), საამმატჩო(დ), საამსოფლიოთასოდ...

მოხსენებაში ვრცლად ვისაუბრებთ სა - ო ცირკუმფიქსით ნაწარმოებ უჩვეულო სახელებზე, მოვიხმოთ შესაბამის მედიაკონტექსტებს, რომლებზე დაყრდნობითაც შევეცდებით ავხსნათ ამგვარ სიტყვაფორმათა გაჩენის მიზეზები.

## **სოფიკო დევდარიანი**

### **„წმინდა ნინოს ცხოვრების“ დედათა სახეები**

„მოქცევაი ქართლისაის“ შატბერდულ-ჭელიშური რედაქციები საყურადღებო მასალას შეიცავს ქართლის გაქრისტიანების პროცესში მონაწილე დედათა შესახებ. ამდენად, მათი შესწავლა გამოკვეთს ქალთა როლის მნიშვნელობას ახალი რელიგიის გავრცელება-დამკვიდრების გზაზე.

„წმ. ნინოს ცხოვრების“ შატბერდულ-ჭელიშური ტექსტების ანალიზმა გამოავლინა, რომ ნაწარმოებში ოცზე მეტი ქალი პერსონაჟი მონაწილეობს, კერძოდ: ელენე დედოფალი, დედოფალი ნანა, სალომე უჯარმელი, პეროჟავრ სივნიელი, დედოფალი სუჯი, ორი სიდონია (კვართის მიმღები და ტექსტის თანაავტორი), ელიოზის დედა, რიფსიმე და გაიანე, სუსანა, სარა ნიაფორი, ანასტოსი და, რასაკვირველია, „ტყუე“ და „დედოფალი“ ნინო. ამ პერსონაჟ ქალთა სახეები, შესაძლოა, ორ კატეგორიად დაიყოს, ქართლის მოქცევის უშუალო მონაწილეებად და მეორე რიგის პერსონაჟებად, რომელნიც მოციქულთა სწორის სამოღვაწეო ასპარეზზე ჩნდებიან და გარკვეული ფორმით თანადგომა-შემწეობას გამოხატავენ. ქართლის მოქცევა რომ ძირითადად ქალთა ღვნას ეფუძნება, ამას ადასტურებს არა მხოლოდ ნაწარმოების მთავარ ქალ პერსონაჟთა ამაგი, არამედ - ქმედებები ნაკლებ მნიშვნელოვანი პერსონაჟებისაც, რომელთაც ქრისტიანობის აღიარება-დამკვიდრებაში გარკვეული მისია აქვთ.

ტექსტების ანალიზის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ქართლის მოქცევა, უფლის მადლითა და შეწევნით, წმ. ნინოს ძალისხმევითა და შემართებით, ძირითადად, ქალთა მხნეობითა და უდრეკი რწმენით წარიმართა, რის გამოც მათი ღვანლი გაცილებით აღემატება მამაკაცთა მუშაკობას, სწორედ ამიტომ არიან ისინი „ასულნი სარწმუნოებისანი“.

## **ნინა ზიგერი**

### **არალეგალური მიგრაციის პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები გერმანიის მაგალითზე**

არალეგალური მიგრაცია არის იმიგრაცია, რომელიც არღვევს დანიშნულების ქვეყნის საიმიგრაციო კანონებს. უკანონო ბინადრობა გულისხმობს ბინადრობას სახელმწიფოში, რომელსაც არ აქვს კანონიერი ბინადრობის სტატუსი. მოქმედი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ან ბინადრობის ნებართვის გარეშე შესვლა და ბინადრობა ისჯება ჯარიმით და პატიმრობით უმეტეს ქვეყნებში და შეიძლება გამოიწვიოს დეპორტაცია. არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ადმინისტრაციული და პოლიტიკური

ზომები მერყეობს სასაზღვრო კონტროლის გამკაცრებიდან ადამიანების კონტრაბანდის დასასჯელ მრავალმხრივ ძალისხმევამდე.

ადამიანებს, რომლებიც ტოვებენ საცხოვრებელ ადგილს და სხვაგან გადადიან, მიგრანტებს უწოდებენ. მათი მოტივებიდან დამათი სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, მიგრანტებს შემდეგ უწოდებენ ლტოლვილებს, სტუმარ მუშებს (გასტარბაითერებს გერმ. Gastarbeiter), ემიგრანტებს, თავშესაფრის მაძიებლებს, მიგრაციის გამოცდილების მქონეს, ან მიგრანტებს. მათ შორის ასევე არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც დამსაქმებლებიც ჰყავთ. მიგრაციის ძირითადი მიზეზები ერთნაირია მთელ მსოფლიოში: ფულის შოვნის შესაძლებლობების ძიება (შრომითი მიგრაცია), ან საფრთხისგან თავის დაღწევა, როგორცაა ომი, ეპიდემია, შიმშილი, ძალადობა ან ჩაგვრა. როგორც შრომითი, ისე ლტოლვილთა მიგრაცია ძირითადად ხდება როგორც საკუთარი ქვეყნის შიგნით ან სხვა ქვეყნებში.

ფაქტია: გერმანია იყო და არის იმიგრაციის ქვეყანა. გერმანელები სასაუბროდ „ლტოლვილად“ მოიხსენიებენ უმეტესობას, ვინც გერმანიაში ჩადის. იურიდიული თვალსაზრისით, ტერმინი უფრო ვიწროა: გერმანიაში ლტოლვილად ითვლება მხოლოდ ის, ვინც ექვემდებარება ჟენევის ლტოლვილთა კონვენციის დებულებებს. გაეროს ამ შეთანხმებაში კონკრეტულად ნათქვამია: „ვინც გაიქცა დევნის საფუძვლიანი შიშის გამო“. მიზეზები შეიძლება იყოს ეთნიკური წარმომავლობა, რელიგიური კუთვნილება, ეროვნება, პოლიტიკური მრწამსი, ან კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობა. ლტოლვილმა იცის, რომ საკუთარი ქვეყანა მას არ იცავს. დევნის შიშით იქ თავისუფლად ვეღარ ცხოვრობს. ლტოლვილს აქვს სხვა ქვეყანაში უსაფრთხოების მოპოვების უფლება. გერმანიაში მიგრაციის მუდმივად მზარდი მაჩვენებელია, თუმცა ყველაზე მაღალი იყო 2015 წელს, რადგან ამ წლის სექტემბერში კანცლერმა ანგელა მერკელმა მიიღო გადაწყვეტილება, დაუშვას ათასობით თავშესაფრის მაძიებლის საზღვრის გადაკვეთა გერმანიაში.

ვინაიდან გერმანია არის იმიგრაციის ქვეყანა, ამიტომაც, მსურს ჩემს მოხსენებაში სწორედ გერმანიის მაგალითზე განვიხილო არალეგალური მიგრაციის პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები.

## ზინაიდა თოიძე

რამდენიმე ასპექტი ტამპლიერების ქართველებთან ურთიერთობის საკითხის შესწავლისათვის

ტამპლიერების ორდენის ბურუსით მოსილი ისტორია დღემდე განეკუთვნება მკვლევართა ინტერესის სფეროს და აქტუალობას არ კარგავს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორგანიზაციის შექმნიდან ცხრა საუკუნე გავიდა. მოხსენებში განხილული იქნება ტამპლიერების თემატიკის რამდენიმე ასპექტი, კონკრეტულად კი, ქართველებთან ურთიერთობის საკითხი.

ტამპლიერებმა უდიდესი როლი შეასრულეს ჯვაროსნულ ლაშქრობებში, იმ ეპოქის საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიაში, ცივილიზაციის განვითარებაში. მათ შექმნეს ყველაზე გავლენიანი, უმდიდრესი ორგანიზაცია ქრისტიანულ სამყაროში პაპობის შემდეგ. საფრანგეთის მეფე ფილიპე IV ლამაზმა 1312 წელს ორდენი გაანადგურა, თუმცა ტამპლიერების ისტორია გრძელდება დღესაც.

ჩვენი ტამპლიერების თემატიკა განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ ამ ძღვევამოსილი ორდენის წევრებს, მკვლევართა მოსაზრებით, ურთიერთობა ჰქონდათ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართველ ბერებთან. ჩვენი კვლევა ამ საკითხთან მიმართებით ეყრდნობა ორ ქართულ ხელნაწერს, რომლებშიც შეტანილია ჯვაროსანთა მოსახსენებელი აღაპები. ერთი ხელნაწერი „გოლგოთას სვინაქსარის“ (H-1661) სახელითაა ცნობილი. იგი გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილი „დიდი სვინაქსარია“ და გადანერილია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში 1155 წელს გიორგი დოდისის მიერ. მეორე ხელნაწერი (Georg-28) პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაშია დაცული და შეიცავს ოთხთავის ტექსტს, მაგრამ დაუთარილებელია.

სამეცნიერო კვლევის პროცესში გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე აღმოვაჩინეთ საინტერესო ცნობა, რომ 1890 წელს ერნესტო როსის იტალიურმა დასმა ქართულ სცენაზე წარმოადგინა პიესა „სიკვდილი ტამპლიერებისა, ანუ მეტაძრეთა“. როსი სტუმრად მიიპატიჟა ილია ჭავჭავაძემ საგურამოში. აღვნიშნავთ, რომ ილია დაინტერესებული იყო ტამპლიერების საკითხით. მას სამუშაო ოთახში ეკიდა დიდი მაგისტრის, ჟაკ დე მო-ლეს ორდენში მიღების ამსახველი ნახატი.

საინტერესოდ მიგვაჩნია აგრეთვე მამა ავთანდილ გიორგობიანის მოსაზრება ტამპლიერების ორდენისა და ფუსტელთა სამხედრო-სარწმუნოებრივი ორდენის ურთიერთობის შესახებ.

ტამპლიერების თემატიკის განსაკუთრებული ინტერესით გამოირჩოდა ზვიად გამსახურდია, რომელიც წერდა: „ტამპლიერობა მარტო დასავლეთის საკუთრება არ არის. ჩვენ გვაქვს მონაცემები უმჭიდროესი კავშირებისა ქართველ რაინდებსა და ტამპლიერებს შორის. ტამპლიერობა იყო მოძრაობა, რომელმაც გააერთიანა დასავლური და აღმოსავლური სიბრძნე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2010 წელს დაარსდა ნეოტამპლიერული ორგანიზაცია, საქართველოს ტაძრის მხედართა უზენაესი საძმო ( O.S.M.T.G).

## ნათია იაშვილი

### „ყოფნა არყოფნის საკითხი „გილგამეშის ეპოსსა“ და „ვეფხისტყაოსანში“

„ყოფნა?.. არ ყოფნა?..საკითხავი აი ეს არის“ - ვკითხულობთ უილიამ შექსპირის პიესაში „ჰამლეტი“. ზოგადად, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, ცხოვრების არსის ძიება მსოფლიო ლიტერატურის ძირითადი თემებია. ამ შემთხვევაში მხატვრულ ნაწარმოები მთელი რიგი რელიგიური თუ ხალხური ცოდნის მატარებელია და უმეტეს შემთხვევაში ორი ურთიერთისგან დამოუკიდებელი და სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი ლიტერატურული ძეგლი საოცარ თანხვედრას ავლენს, რაც კითხვას აჩენს: სად და როდის მოხდა მათი თანხვედრა? ჩვენ მიერ წარმოდგენილი თემა შეეხება საკითხს, თუ როგორ გადაეკვეთნენ ერთმანეთს კაცობრიობის პირველი ეპოსი „გილგამეშის ეპოსი“ და მისი „მემკვიდრე“, ქართული ლიტერატურის შედეგრი, „ვეფხისტყაოსანი“.

მოხსენებაში წარმოვადგენთ საერთო მოტივებს ძველი შუამდინარეთის ტერიტორიაზე დაახლოებით ძვ.წ. მესამე ათასწლეულის მეორე ნახევარში ჩანერილ „გილგამეშის ეპოსსა“ (ჩვენამდე მოღწეული უძველესი ვერსია ძვ.წ. XVIII საუკუნით თარიღდება) და ათასწლეულებით დაშორებულ, XII საუკუნეში, საქართველოში შექმნილ „ვეფხისტყაოსანს“ შორის. თემაში გავაშუქებთ ამ ორი ლიტერატურული ნაწარმოების სხვადასხვა წახნაგს, რითაც ისინი ერთმანეთს უკავშირდებიან. ძირითადად, ყურადსაღებას გავამახვილებთ ეპიკური მეგობრობის იდეაზე, რაც ძველ შუამდინარეთში იღებს სათავეს. აქ აღსანიშნავია გილგამეშისა და ენქიდუს მეგობრობის და ტარიელისა და ავთანდილის ურთიერთობის საერთო იდეა. ასევე სხვა საერთო მოტივები, როგორცაა გილგამეშის მისწრაფება სახელის დამკვიდრებისათვის, რა დროსაც შოთა რუსთაველი ამბობს „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“. სიკვდილის, ბედისწერის გარდაუვალობის საკითხი მკვეთრად ხაზგასასმელია ამ ორ ნაწარმოებში. საინტერესოა, რომ „ველად გახიზნული“, „ლომისტყავიანი“ და ვეფხით შემოსილი კაცის იდეა პირველად „გილგამეშისაში“ გვხვდება, რაც შემდგომ სახასიათო ხდება სპარსული და არაბული ლიტერატურული სამყაროსთვის. თემაში მოხმობილი გვაქვს მიხაკო წერეთლის დაკვირვებანი, რომელმაც პირველად თარგმნა ბაბილონური ეპოსი ქართულ ენაზე „გილგამეშისანი“ და შენიშნა საერთო ზოგადსაკაცობრიო მოტივები „ვეფხისტყაოსანთან“, რომელზეც მეცნიერი მთელი ცხოვრება მუშაობდა და განიხილავდა, როგორც „გილგამეშის“ ეპოსის პირდაპირ მემკვიდრეობას.

## ია იადე

### მარსილიო ფიჩინოს სინათლის მეტაფიზიკა

ნაშრომი შეეხება იტალიური რენესანსის მნიშვნელოვან პლატონიკოს ფილოსოფოსს, მარსილიო ფიჩინოსა (მე-15 საუკუნე) და მის თეორიას სინათლის შესახებ.

ნაშრომი შესავალ ნაწილში საუბარი იქნება მარსილიო ფიჩინოს როლზე რენესანსის ეპოქაში და მის ფილოსოფიურ სისტემაზე. ასევე, სინათლის მეტაფიზიკის მნიშვნელობაზე ნეოპლატონურ და ქრისტიანულ სწავლებებში. მაგალითების სახით, წარმოდგენილი იქნება მარსილიო ფიჩინოს ერთ-ერთი არსებითი წყაროს, ანტიკური ნეოპლატონიზმის წარმომადგენლის, პლოტინოსის (მესამე საუკუნე) შეხედულება სინათლის შესახებ და ქრისტიანი სწავლელების - წმინდა აგვუსტინესა და ფსევდო-დონისე არეოპაგელის მოძღვრება ამ საკითხზე. ძირითადი ნაწილში წარმოდგენილი იქნება სინათლის მნიშვნელობა რენესანსის მხატვრობასა და ფილოსოფიაში, სადაც განხილული იქნება მარსილიო ფიჩინოს საფუძვლიანი კვლევები ამ საკითხთან დაკავშირებით. მარსილიო ფიჩინო (1433-1499), რომელიც ღრმად იყო დაინტერესებული სინათლით და მისი თვისებებით, თავის ცნობილ ნაშრომში “Liber de sole et lumine” სინათლეს განიხილავს, პირველ რიგში, არა როგორც ფიზიკურ ფენომენს, არამედ როგორც სამყაროს მეტაფიზიკურ სანყისს. ნაშრომში აგებულია სინათლის სისტემა, სადაც ფიჩინო ყველაზე დაბალ საფეხურზე ათავსებს ხილულ საგნებს, ხოლო ყველაზე მაღალ საფეხურზე სინათლეს, რომელიც თავად არის ღმერთი. საინტერესოა ფიჩინოს შეხედულებები ხედვის შესახებ, რაც საბოლოოდ პირველსანყისის ქვრეტიტ მთავრდება, თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ავტორი არ უარყოფს ამქვეყნიური რეალობის მშვენიერებას და მისით ტკობებას, რადგან მასშიც ღმერთის გამოხატულებას ხედავს. დასკვნის სახით, შეჯამებული იქნება სინათლის ხედვის მნიშვნელობა აღორძინების ეპოქის ფილოსოფიაში.

ციფრულ ეპოქაში, სინათლე ახალი მნიშვნელობას იძენს, თუნდაც ფოტოგრაფიიდან გამომდინარე, ამდენად, სულ უფრო და უფრო იზრდება მისი კვლევის არეალი. ამ ფონზე საინტერესოა სინათლის, არა როგორც მხოლოდ ფიზიკური ფენომენის, არამედ როგორც სიმბოლური ფენომენის წარმოჩენა და შეფასება. რაც შეეხება მარსილიო ფიჩინოს, ბოლო ხანებში მისი ტექსტების კრიტიკული გამოცემები და მისი ფილოსოფიის კვლევა განსაკუთრებით ინტენსიური გახდა, მათ შორის, ანტიკურ ფილოსოფიასთან მიმართებაში.

## ირაკლი ირემაძე

### გურიის გლეხთა მოძრაობის ასახვა 1905-1906 წლების ქართულ პრესაში

გურიის გლეხთა რევოლუციური მოძრაობა, რომელიც 1902 წელს დაიწყო, გამორჩეული მომენტი იყო საქართველოს უახლოეს ისტორიაში. გურულმა თვითორგანიზებულმა გლეხებმა სოციალ-დემოკრატ მუშების, პედაგოგების და სტუდენტების ჩართულობით შეძლეს საიმპერიო რეჟიმისათვის განგრძობადი წინააღმდეგობის განევა. ამავე პერიოდში გლეხთა მოძრაობები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მიმდინარეობდა, თუმცა გურიის მოძრაობა ყველაზე მასშტაბური და ხანგრძლივი იყო. გურულ გლეხებს იმპერიისადმი კონკრეტული მოთხოვნები გააჩნდათ, გურიის გლეხთა მოძრაობის ერთგვარი პიკი 1905 წელი იყო, როცა საიმპერიო რეჟიმმა, ფაქტობრივად, კონტროლი დაკარგა ოზურგეთის მაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე.

გურიის გლეხთა მოძრაობა ინკლუზიურიც იყო. მასში ჩართული იყვნენ გლეხები, მასწავლებლები, სტუდენტები, მუშები, წვრილი ვაჭრები და, რაც მთავარია, მასში გაჩნდა მნიშვნელოვანი ადგილი ქალებისათვის. სასოფლო კრებებში, განხილვებში და მოლაპარაკებებში გლეხ მამაკაცებთან ერთად გლეხი ქალებიც მონაწილეობდნენ.

გურიის გლეხთა მოძრაობამ, რუსეთის იმპერიის პატარა განაპირა მხარეში, მნიშვნელოვანი ყურადღება მიიპყრო, მათ შორის რუსი ინტელექტუალების, ლევ ტოლსტოის მეთაურობითა, და ევროპელი ჟურნალისტების, რომლებმაც სტატიებსა და ნაშრომებში აღწერეს გურიის გლეხთა მოძრაობა.

გურიის გლეხთა მოძრაობა ქართულ ისტორიოგრაფიაშიც შესწავლილი და აღწერილია, არსებობს თავად მოძრაობის ლიდერების მოგონებებიც. თუმცა, ქართულ ისტორიოგრაფიაში, განსაკუთრებით კი საბჭოთა პერიოდის ნაშრომებში, გამომდინარე იქიდან, რომ მოძრაობის ძირითად ბირთვს შემდგომში მენშევიკური ფრაქციის ლიდერებს წარმოადგენდნენ, ერთგვარად სახეცვლილი რეალობაა აღწერილი. ხშირ შემთხვევაში გაზვიადებულია ბოლშევიკთა დამსახურება და როლი.

გურიის გლეხთა მოძრაობაზე აქტიურად იწერებოდა პრესაში, განსაკუთრებით, ყოველდღიურ გაზეთებში, „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელში“. გაზეთები იყო ის ძირითადი ბაზა, სადაც გროვდებოდა და შემდგომ ქვეყნდებოდა ამ მოვლენის შესახებ ცნობები. ხშირად, პროცესის შემსწრე კორესპონდენტები უშუალოდ მოვლენათა ეპიცენტრიდან აგზავნიდნენ სტატიებს რედაქციაში.

## **მარიამ კაკალაშვილი**

### **ადამიანის ბუნებითი მდგომარეობა და დისტოპიური ეგზისტენციალიზმი უილიამ გოლდინგის „ბუზთა ბატონში“**

„ბუზთა ბატონი“ XX საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რომანია, რომელიც უილიამ გოლდინგის მაგნუმ ოპუსად მიიჩნევა. ავტორი რომანში იყენებს ისეთ გავრცელებულ ტოპოსს, როგორცაა უკაცრიელი კუნძული და მასზე აღმოჩენილი ადამიანთა ჯგუფი. სწორედ ამ იზოლირებული სამყაროს შექმნით, სადაც ადამიანთა ჯგუფს განასახიერებენ სკოლის ასაკის ბიჭები, ავტორი კრიტიკულად განიხილავს ადამიანის ბუნებას ისეთ პირობებში, სადაც არ არსებობს ავტორიტეტი და პერსონაჟები თავიანთ ბუნებით მდგომარეობაში არიან.

რომანი 1950-იან წლებში იწერება, პოსტ-მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, რის შედეგადაც მსოფლიოში დამკვიდრებულია მასობრივი უიმედობა და კრიზისი. სწორედ ეს განაპირობებს ეგზისტენციალური აზროვნების განსაკუთრებულ პოპულარობას, როგორც ფილოსოფიურ, ისე ლიტერატურულ მიმდინარეობად. უილიამ გოლდინგთან ეგზისტენციალიზმი დისტოპიურ ჭრილშია წარმოჩენილი, რის მიხედვითაც „ბუზთა ბატონი“ ეგზისტენციალისტურ რომანად ითვლება. რომანში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანის ბუნების შესახებ დისკუსიას, თავისუფლების მნიშვნელობასა და სკოლის ასაკის ბიჭების მიერ ჩამოყალიბებულ დისტოპიურ საზოგადოებას, სადაც უილიამ გოლდინგი ადამიანის ბუნების შესახებ თანამედროვე შეხედულებას აყალიბებს.

წინამდებარე მოხსენებაში გაანალიზებულია უილიამ გოლდინგის რომანში წარმოჩენილი ადამიანის ბუნებისა და ბუნებითი მდგომარეობის საკითხები. ანალიზის საფუძველს წარმოადგენს თომას ჰობსისა და ჯონ ლოკის ნაშრომები, რომლებიც ადამიანის ბუნებით და ომის მდგომარეობების ცნებებს აყალიბებს. ამ ნაშრომების საფუძველზე ხდება იმის კვლევა თუ რომელ ფილოსოფოსს ემხრობა უილიამ გოლდინგი და ამ ფილოსოფოსების მოსაზრებები როგორ შეესაბამება თანამედროვე, მეოცე საუკუნის ადამიანის ეგზისტენციას. საკონფერენციო მოხსენებაში ასევე განხილული იქნება დისტოპიური ეგზისტენციალიზმი, მისი მახასიათებლები და ის თუ როგორ ქმნის ეგზისტენციალურ დისტოპიას უილიამ გოლდინგი რომანში „ბუზთა ბატონი“.



## **მაია კვიციანი**

### **მამუკა წიკლაურის 70-იანი წლების პოეზიის ძირითადი ასპექტები**

XX საუკუნის 70-იანი წლები ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდია. ეს ეტაპი დაკავშირებულია იმ პოეტურ თაობასთან, რომელმაც გარკვეულწილად განსაზღვრა თანამედროვე პოეზიის ძირითადი ხაზი. ლია სტურუას, ბესიკ ხარანაულის, ჯარჯი ფხოველის, გურამ პეტრიაშვილის, იზა ორჯონიკიძისა და სხვათა შემოქმედება პოეტური თუ კრიტიკული ტექსტების სახით დღესაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ლიტერატურულ პროცესზე და თანამედროვე პოეზიის ფორმირებაშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

მამუკა წიკლაური სამოცდაათიანელთა თაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია, მწერალი აქტიურად აქვეყნებდა არა მხოლოდ ლირიკულ ნიმუშებს, არამედ ლიტერატურულ წერილებისაც. კვლევაში განხილულია მხოლოდ 70-იან წლებში გამოცემული პოეტური კრებულები: „თოვლის ქრიზანთემები“ (1976 წ.), „დიდი ფოთოლცვენა“ (1976წ.) და „კუნძული“ (1978 წ.). მიუხედავად იმისა, რომ პოეტი გამოხატვის ფორმად მეორე კრებულიდან („თოვლის ქრიზანთემები“) უმეტესად ვერლიბრს ირჩევს, მკაფიოდ ტრადიციული ავტორია თემებითა და პოეტური სახეებით; წარსულთან დამოკიდებულება, მშობლიური სივრცის აღქმა, ქართული რეალიები, ფოლკლორული სახეები და ის მხატვრულ-ესთეტიკური ელემენტები, რომლებსაც ავტორი იყენებს, წარმოაჩენს მის შემოქმედებით არჩევანს.

მამუკა წიკლაურის პოეზიის ერთ-ერთ მახასიათებლად ტკივილის მკაფიო გამოხატვა სახელდება. პიროვნული დამოკიდებულების გამოვლენა, ინდივიდუალურობის ხაზგასმა ხდება ტკივილის ესთეტიზაციით, რაც ქმნის ლირიკული სუბიექტის სახეს. მკითხველზე შთაბეჭდილებას ახდენს არა მოულოდნელი ტროპული მეტყველება, არამედ სწორად აგებული სინტაქსური, ენობრივ-ლექსიკური ელემენტები.

მამუკა წიკლაურის შემოქმედება, ვერლიბრით არის წარმოდგენილი თუ კონვენციური ლექსით, ერთიანია. ლექსების განხილვის კვალდაკვალ ლიტერატურულ კრიტიკაში არსებული შეფასების დამოწმება პოეტური სააზროვნო სივრცის გარკვეული კონტექსტის დანახვაში გვეხმარება. ასევე, საშუალებას გვაძლევს, წარმოვადგინოთ პოეტის 70-იანი წლების შემოქმედების მთავარი მახასიათებლები.

## **ირაკლი ლეონიძე**

### **საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობები ადრეული შუა საუკუნეების მიწურულს (X-XI საუკუნის ისტორიულ მოვლენათა პოლიტიკურ-სამართლებრივი ანალიზი)**

რომის იმპერიის ორ ნაწილად გაყოფის შემდეგ, აღმოსავლეთ რომის იმპერიის მართვის სადავეები კონსტანტინოპოლში აღმოჩნდა. იმპერიის საზღვრების განფენილობა და მათი დაცვა კი, ახალ დღის წესრიგს დაეფუძნა. რაც გულისხმობდა იმპერიის ტერიტორიული ინტერესების განახლებული კონცეფციის შემუშავებას, რომელიც აღარ გაიზიარებდა ძველი იმპერიის გეოპოლიტიკურ მიზნებს და დაადგენდა დროისა და რეალობის შესაბამის მოთხოვნებს.

აღმოსავლეთ რომის იმპერიის მმართველი საერო ხელისუფლება შედარებით გვიან დაუკავშირდა სასულიერო იერარქების ნებას და მათ შორის არსებულ საერთო ინტერესებს, რაზეც შემდგომში გამყარდა იმპერიისა და მოსაზღვრე ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხის გაერთიანების/ მოკავშირეობის საერო და სასულიერო იდეა. როდესაც შუა საუკუნეების ადრეული წლები ურთულესი გამონვევების წინაშე აყენებდა აღმოსავლეთ რომის იმპერიას, მის ტერიტორიაზე და სამხრეთ კავკასიის რეგიონში საბოლოოდ განმტკიცდა ქრისტიანობა, რაც შესაძლებლობას აძლევდა სამხრეთ კავკასიის ადგილობრივ მოსახლეობას, რომ აღმოსავლეთ რომის იმპერიის მოსახლეობის მსგავსად, ქრისტიანული მრწამსი მიეღოთ, ანუ დაკავშირებოდნენ კონსტანტინოპოლში არსებულ ხელისუფლებას, არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ სასულიერო ერთობის თვალსაზრისით.

საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობები ადრეულ შუა საუკუნეებში ხასიათდება იმით, რომ ბიზანტიაში შიდა დაპირისპირების შედეგად იმპერია სუსტდება და ვეღარ ახერხებს იუსტინიანე პირველის დროს მოპოვებული დიდებისა და მიწების შენარჩუნებას. ადრეული შუა საუკუნეების მიწურულს იცვლება წარმოდგენები საქართველოსთან დაკავშირებით, რაც განპირობებულია, როგორც შიდა ურთიერთობების კოლაფსით, ისე საგარეო არეალზე არაბების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობით. ბასილი მეორის მოქმედებები მიანიშნებს, თუ რამდენად რთულად აღიქვამდა იმპერია საქართველოს გაერთიანებული სამეფოს ჩამოყალიბებას და რა ღონეს იღებდა იგი ამ სამეფოს ტერიტორიული მთლიანობის დასარღვევად. მოხსენებაში განხილულია საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობები ადრეული შუა საუკუნეების მიწურულს (X-XI საუკუნის ისტორიულ მოვლენათა პოლიტიკურ-სამართლებრივი ანალიზი). ამ საკითხების შესწავლა კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს პოლიტიკურ მიმდებლობასა და სულიერ კავშირზე, რომელიც არსებობდა იმპერიასა და მის მოსაზღვრე საქრისტიანოს - საქართველოს შორის, რათა 2023 წელს უფრო ნათლად დავინახოთ დამოუკიდებლობისა და მისი შენარჩუნებისთვის ჩვენი სახელმწიფოს ისტორიული ბრძოლის მისია.

## მარიამ ლომსაძე

### გრიგოლ რჩეულიშვილის პროზის თავისებურებანი

გრიგოლ რჩეულიშვილი გახლდათ ქართველი მწერალი, პროზაიკოსი, მთარგმნელი. აგრეთვე პოპულარული იყო მისი ლექსები. მისი რომანტიკული მოთხრობები იბეჭდებოდა „ცისკარში“. რჩეულიშვილი მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ფსიქოლოგიური რომანის ერთ-ერთი დამწყები გახლდათ.

ვფიქრობ, „ანუკა ბატონიშვილით“ რჩეულიშვილი ტაბუირებულ თემას შეეხო. ანუკა თავისი მეუღლის, ოთარის, ღალატით წარმოგვიდგება მოღალატე ქალის სახედ. გარემოებას ამძიმებს ის ფაქტი, რომ ეს ხდება ოთარის სპარსეთში საბრძოლველად ყოფნის დროს. მოთხრობაში იდეალურადაა გადმოცემული პერსონაჟების ფიქრები, განცდები, შიში, საკუთარ მესთან დაპირისპირება, შვილის განშორებისგან გამოწვეული სასონარკვეთა. ამავდროულად, ქალისთვის პაექრობს ორი მამაკაცი: უდაბნოელი და ტიტეკო. ბატონიშვილს უდაბნოელთან შეცოდელი აქვს უკვე არა ერთხელ, ხოლო ტიტეკოს მხოლოდ დედობრივი მზრუნველობით პასუხობს. მოთხრობაში საინტერესოა ანუკას ძმის, ალექსანდრეს ხაზიც, რომელიც მრისხანებით მტერს უტოლდება.

ამ მოთხრობას სამეცნიერო ლიტერატურაში ადარებენ იტალო ფიორენტინოს: „იზაბელა ორსინს.“ ნამდვილად შეინიშნება რომანებს შორის სიუჟეტური მსგავსება. იზაბელა სიმღერას ასწავლის ტორელოს, ანუკა-ტიტიკოს. მსგავსია ნაწილი დიალოგისა საკურთხეველში. ანუკა შვილს გზავნის ნესტან-დარეჯანთან, იზაბელა-საფრანგეთის დედოფალ ეკატერინე მედიჩისთან. გმირი ქალების სიკვდილი ბრალდება ავადმყოფობას. განსხვავებულია ანუკას სახე, იზაბელასთან შედარებით იგი გულუბრყვილოა. იზაბელას ღალატისკენ ქმარმა უბიძგა, ანუკას საბაბი არ ჰქონია. პაოლო ორსინისგან განსხვავებით, ოთარი კეთილშობილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. რჩეულიშვილი ქალის დაცემის მიზებს ადამიანური სისუსტით ხსნის, ფიორენტინო-გარემოთი. აღნიშნული დეტალები მწერლის ოსტატობას ცხადყოფს.

## **ნინო მანკავა**

**ცრემლის ფენომენი „ამირანდარეჯანიანში“, „აბდულმესიანში“, „თამარიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“**

XII-XIII საუკუნეების ორიგინალური ქართული საერო ძეგლები, ცრემლთმეტყველების თვალსაზრისით, სამ ნაწილად დაყავით.

კვლევის პირველ ნაწილში განხილულია მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“, რომელიც დიდ სიახლოვეს ამაყვანებს ქართულ ფოლკლორთან, თუმცა არღვევს ტირილისთვის ფოლკლორში მინიჭებულ ტაბუს. ხონელის გმირები ტირიან დიდი მწუხარებისა და განსაცდელის დროს, ხოლო სიხარულის ცრემლი, რომელიც შემდეგდროინდელ მწერლობაში ხშირია და მანამდე ჰაგიოგრაფიაშიც ჩანს, „ამირანდარეჯანიანში“ ერთხელაც არ გვხვდება. საგულისხმოა ისიც, რომ სასულიერო ლიტერატურაში დაღვრილი ცრემლი ყოველთვის უფალს მიემართება, მოსე ხონელის ნაწარმოებში კი წინა პლანზე პიროვნებაა წამოწეული და მისი როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური ტკივილი ცრემლის ღვრის ღირსადაა ჩათვლილი.

რაც შეეხება XIII საუკუნის ძეგლებს, „აბდულმესიანსა“ და „თამარიანს“, ისინი, სახობო სპეციფიკიდან გამომდინარე, ქების ობიექტის განდიდებას ემსახურებიან, მხოლოდ ამაღლებული ემოციებით არიან გაჯერებული და ცრემლისა და ტირილის ერთეულ ნიმუშებს შეიცავენ. მათი გამოყენების კონტექსტი სხვადასხვაგვარია, მაგრამ თითოეულში ცრემლი, როგორც მეტაფორა, საქები ობიექტისადმი არსებულ მძაფრ განცდას გამოხატავს.

„ვეფხისტყაოსანში“ კი, როგორც შუა საუკუნეების ეპოქის ძეგლში, მთავარი გმირები და მათ მიმართ თანაგრძნობით განმსჭვალული პირები ცრემლს ხშირად ღვრიან, თუმცა არიან პერსონაჟები, რომლებიც საერთოდ არ ტირიან: რამაზ მეფე, დავარი, უსენი, ჭაშნაგირი... ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ პოემის ავტორი ტირილს სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებს, ცრემლს მხოლოდ ღირსეული საქმის კეთების სურვილით აღვსილთ, სუფთა გულისა და სინდისის მქონეთ აღვრევიანებს, შურისძიებითა და ბოროტი განზრახვით შეპყრობილთ კი ტირილი არ შეუძლიათ.

## **ირაკლი მახათაძე**

**ირიბი ნათქვამის ინვერსია ვასილ ბარნოვისა და კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრულ ენაში**

ქართულ ენაში გვაქვს სხვათა სიტყვის სამი ნაწილაკი: -მეთქი, -თქო, -ო. ეს უკანასკნელი გამოიყენება მაშინ, როცა პირველი პირი მესამე პირის ნათქვამს გადმოსცემს. ამჯერად ყურადღება უნდა გავამახვილოთ ვასილ ბარნოვისა და კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრულ ენაში ირიბი ნათქვამის ინვერსიაზე.

თვალშისაცემია სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკის უჩვეულო გამოყენება ხსენებული მწერლების მხატვრულ ენაში. იგი არქაული სტილიზაციის ერთ-ერთი ელემენტია. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმის თანახმად, -ო ნაწილაკი წინადადების ბოლოს დაისმის (უპირატესად ზმნასთან). ვასილ ბარნოვისა და კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრულ ენაში კი ბუნებრივი კონსტრუქცია შეცვლილია და აღნიშნული ნაწილაკდართული ზმნა წინ არის გადმონული: „...ძველთუძველესი ისტორიები წამოიწყო ხუცესმა: ლაზები იყვნენო პირველქრისტიანენი საქართველოში, მათ აღმართესო ძელი პატიოსანი პირველად“ („დიდოსტატის მარჯვენა“).

ირიბი ნათქვამის გადანაცვლებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ფრაზის ასეთ წყობას იყენებს ვასილ ბარნოვიც თავის ისტორიულ თხზულებებში: „ცას მისწვდაო ქართველთ გალობა, ალტაცებით ამღერდნენო ანგელოსთ გუნდი“.

აშკარაა, რომ ირიბი ნათქვამის ამგვარი ინვერსიის მიზანი არქაული ეფექტის მიღწევაა.

## **ლიზი მურადაშვილი**

### **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების ქალი დეპუტატები**

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებიდან 105 წელი გავიდა, XV საუკუნის შემდეგ, ეს იყო პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო, თანაც დემოკრატიული რესპუბლიკური ფორმის, რომელიც 1918 წლის 26 მაისს შეიქმნა. ჩამოყალიბდა მთავრობა და საკანონმდებლო ორგანო - დამფუძნებელი კრება (იგივე პარლამენტი).

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები 1919 წლის თებერვალში გაიმართა. იმ დროს, როცა ევროპის რიგ ქვეყნებში ქალებს ჯერაც არ გააჩნდათ საარჩევნო უფლება, საქართველოში გამართულ არჩევნებში სხვადასხვა პარტიის სახელით, კენჭს 17 ქალი იყრიდა. მათგან დამფუძნებელი კრების წევრი გახდა 5 ქალი. ამ მანდილოსნების ისტორიები არც 1919 წელს იწყება და არც საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრობით სრულდება. თითოეულმა მათგანმა საკმაოდ რთული გზა გაიარა. ვიდრე ქვეყნის მართვის სათავესთან აღმოჩნდებოდნენ, ეს ქალები ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივ ქალთა ორგანიზაციებს, აქტიურად მონაწილეობდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში და ცარიზმის წეს-წყობილების საწინააღმდეგო აგიტაცია-პროპაგანდასაც აწარმოებდნენ.

**აღნიშნული ქალები იყვნენ: ელისაბედ (ლიზა) ნაკაშიძე, ანა (ოლა) სოლოლაშვილი, მინადორა ტოროშელიძე, ელეონორა ტერ-ფარსაგოვა და ქრისტინე შარაშიძე. ხუთივე მათგანი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდა. საარჩევნო სიაში ისინი იმიტომ მოხვდნენ, რომ მათი განვლილი გზა და ისტორია პარტიას ხმებს მოუტანდა, თუმცა ეს ქალები**

მხოლოდ სქესის გამო არ გამხდარან საკანონმდებლო ორგანოს წევრები. მათ უმნიშვნელოვანესი როლი იქონიეს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. სწორედ იმის გამო, რომ მათი დიდი წვლილი მიუძღვოდათ, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ (1921 წ.), ისინი რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ.

მოსხენებაში კონკრეტულად ვსაუბრობ ამ ქალი-დეპუტატების განვლილი ცხოვრების შესახებ. მათი ბიოგრაფიების გაცნობის შემდეგ, ნათელი ხდება ქართველ ქალთა საზოგადოებრივი როლი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისას.

## **ლუკა ნებიერიძე**

### **მუზაფარ ად-დინ ჯეჰან შაჰის მიერ საქართველოში 1440 წელს ჩატარებული სამხედრო კამპანიის მიზეზები და წინაპირობები**

შავბატკნიანი თურქმანები ოღუზი თურქები იყვნენ და ჯერ კიდევ ჩინგიზ ყაენის ურდოებს შემოჰყვნენ XIII საუკუნეში ახლო აღმოსავლეთში. XV საუკუნის დასაწყისში ჩრდილოეთ ირანის ტერიტორიებზე შავბატკნიანების მბრძანებელმა ყარა იუსუფმა (1388-1420 წწ) მოახერხა და საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო შექმნა, რომელსაც შემდეგში მისი შვილები, ჯერ ისქანდერი (1421-1436 წწ), ხოლო მოგვიანებით ჯეჰან შაჰი (1438-1467 წწ) მართავდნენ. სწორედ ამ უკანასკნელის მმართველობის პერიოდში მიაღწია შავბატკნიანთა სახელმწიფომ ძლიერების ზენიტს. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისით ჯეჰანმა საქართველო სამჯერ დალაშქრა - 1430 წწ, 1440 წწ და 1444 წლებში. ყველა შემოსევა ალექსანდრე I დიდის (1412-1442) მეფობისას განხორციელდა.

მოსხენებაში ყურადღება 1440 წლის სამხედრო კამპანიაზე მექნება გამახვილებული. კონკრეტულად შევხები 1430-იან წლებში შავბატკნიანებსა და საქართველოს შორის არსებულ ურთიერთობას, განვიხილავ 1440 წლის შემოსევის მიზეზებს, წინაპირობებს, მოსამზადებელ პერიოდს და ასევე იმ სამხედრო თუ სხვა ხასიათის ღონისძიებებს, რომელიც შავბატკნიანთა მბრძანებელმა გაატარა ჩვენი ქვეყნის მეზობელი ტერიტორიების მიმართ უშუალოდ საქართველოში შემოჭრამდე. მოცემულ საკითხებს, ისევე როგორც საკუთრივ ამ შემოსევის პერიპეტიებს ქართულ ისტორიოგრაფიაში რამდენიმე სტატია მიეძღვნა (მაგალითად, ლერი თავაძე - „ჯეჰან შაჰის 1440 წლის ლაშქრობა საქართველოში“, ასევე, მირიან მახარაძე - „კიდევ ერთი აღმოსავლური წყარო შავბატკნიანთა მბრძანებლის ჯეჰან შაჰის საქართველოში შემოსვლის შესახებ“ და სხვა). მიუხედავად იმისა, რომ ამ სამეცნიერო ნაშრომებში საკმაოდ კარგადაა განხილული შავბატკნიანების 1440 წლის შემოსევა და მისი დეტალები, გადავწყვიტე კიდევ ერთხელ შემეჩერებინა ყურადღება ამ საკითხისათვის, გარკვეულწილად შემევსო კონკრეტული ადგილები და ახლებულად გამეაზრებინა ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

## ირინა ნოზაძე

### ბნელეთის კონცეპტი ვაჟა-ფშაველას ლირიკაში

სიკვდილის ფენომენი, საიქიოს ლირიკული აღქმა და მთიელთა რწმენა-წარმოდგენებზე დაფუძნებული სულთა მოძრაობის მეტაფორული ასახვა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. ამ მხრივ, აღსანიშნავია მისი ლექსი „ბნელეთი“.

იქიდან გამომდინარე, რომ ლექსის მხატვრული მხარე მნიშვნელოვანწილად რწმენა-წარმოდგენებითაა მოტივირებული, აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ სათაურის ქვეშ პოეტი ფრჩხილებში მოთავსებულ განმარტებას გვთავაზობს – „ძველი ამბავი“. ამგვარი შენიშვნა იმას ადასტურებს, რომ ბნელეთის – საიქიოს აღწერა მთიელთა გონებაში მყარად ჩაბეჭდილი შეგნების გამოდახილია, რაც აღიქმება ამბად და არა, ვთქვათ, გამონაგონად, წარმოსახვის ნაყოფად.

„ბნელეთის“ სიუჟეტი ქვესკნელში, საიქიოშია გადატანილი. ვაჟა არსებული ატმოსფეროს ხელშესახებად წარმოჩენისთვის სხვადასხვა მხატვრულ საშუალებას მიმართავს. ბნელეთის კონცეპტი და მისი გამომხატველი სიმბოლიკა მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი ვაჟას სხვადასხვა ლექსში, რომელთა იდეურ-ესთეტიკურ დატვირთვას სწორედ „ბნელეთთან“ მიმართებაში განვიხილავთ.

ყოველი მხატვრული საშუალების ღირებულება იმითაა განსაზღვრული, თუ რამდენად მარტივდება მის გარეშე უკვე არსებული მიზნის მიღწევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ესა თუ ის ხერხი თავის მიზანდასახულებას დაკარგავს. ვაჟა-ფშაველას ლექსს „ბნელეთი“ მხატვრული საშუალებების მრავალფეროვნებისა და იდეური დატვირთვის მხრივ, პოეტის შემოქმედებაში ნამდვილად გამორჩეული ადგილი უჭირავს. განსაკუთრებით საინტერესოა ვაჟას მეტაფორული აზროვნება. საგულისხმოა ისიც, რომ პოეტისეული მსოფლმხედველობრივი მოდელი მნიშვნელოვანწილად დავალებულია მთიელთა რწმენა-წარმოდგენებით, ფოლკლორული წყაროებით, რაც უჩვეულო სიტყვათშეთანხმებების, პარალელიზმისა და ტროპული მეტყველების საგულისხმო ნიმუშების დაძებნის საშუალებას გვაძლევს. საგულისხმოა ისიც, რომ „ბნელეთის“ ესთეტიკა ამ მახასიათებლის მხოლოდ ვინრო გააზრებით არ ამოიწურება. შევნიშნავთ ერთგვარ ქვეტექსტურ შინაარსსაც, რაც გვაძლევს ფიქრის საფუძველს, რომ საკითხი უფრო ფართო კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ.

## **ნიკოლოზ ოვსიანიკოვი**

### **სომხურ-თურქული ურთიერთობების თანამედროვე ეტაპი**

სომხურ-აზერბაიჯანული დაპირისპირების ე. წ. ყარაბაღის მეორე ომმა (2020 წლის 27 სექტემბერი - 9 ნოემბერი) არსებითად შეცვალა გეოპოლიტიკური ვითარება სამხრეთ კავკასიის რეგიონში. სწორედ ეს გახდა ერთგვარი იმპულსი სომხურ-თურქული ურთიერთობების ნორმალიზებისათვის.

2021 წლის ნოემბრიდან დაიწყო საუბარი სომხეთთან საზღვრის გახსნაზე, დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებაზე, ტვირთების პირდაპირ ავიაგადაზიდვებზე. აღდგა ჩარტერული რეისები ერევანსა და ანკარას შორის, სომხეთმა მოხსნა აკრძალვა თურქული პროდუქციის იმპორტზე, დანიშნეს სპეციალური წარმომადგენლები ურთიერთობების ნორმალიზებისათვის. დაიწყო მოლაპარაკებები ორი ქვეყნის სპეცნარმომადგენლებს, საგარეო საქმეთა მინისტრებსა და პრეზიდენტებს შორის „წინაპირობის გარეშე“ ურთიერთობების ნორმალიზებისათვის. აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებით სომხურ და თურქულ მხარეებს შორის სიტყვიერი მზაობის მიუხედავად, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზების პროცესი ჭიანჭურდება. მთავარ დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს სომხეთ-აზერბაიჯანს შორის „მშვიდობიანი ხელშეკრულების“ არარსებობა (ვითარება გაართულა 2022 წლის სექტემბერში სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე აზერბაიჯანის შეიარაღებული დაჯგუფების შეჭრამ და 2022 წლის 12 დეკემბრიდან დღემდე ლაჩინის დერეფნის - სომხეთის ყარაბაღთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზის გადაკეტვამ) და სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტში თურქეთის პროაზერბაიჯანული პოზიცია (თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მეგლუთ ჩავუშოდღუმ განაცხადა, რომ „შეუძლებელია სომხეთთან რაიმე ფუნდამენტური ნაბიჯის გადადგმა აზერბაიჯანთან კონსულტაციების გარეშე“).

სომხურ-თურქული ურთიერთობების დარეგულირების პროცესს აჭიანურებს ასევე სომხური დიასპორებისა და სომხეთის ოპოზიციური პარტიების დამოკიდებულება, რომლებსაც თურქეთთან ურთიერთობის ნორმალიზება სომხეთის ინტერესების დალატად მიაჩნიათ.

ზემოაღნიშნულ საკითხში მხარეთა შორის ურთიერთნდობა, რეგიონის ქვეყნების, ევროკავშირისა და აშშ-ის ჩართულობა, საქართველოს „მშვიდობიანი სამეზობლოს ინიციატივა“ ერთგვარად ხელს შეუწყობს სომხურ-თურქული ურთიერთობების დარეგულირების პროცესს.



## **ნიკოლოზ სარაჯიშვილი**

**ფეხბურთი, როგორც ერთ-ერთი ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში: იტალია 1934-1938**

დასავლურ სამეცნიერო სივრცეში ფეხბურთის, როგორც ეროვნული ერთიანობის კატალიზატორისა და საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ფაქტორის კვლევას, საკმაოდ ფართო სახე აქვს, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე. ამ მხრივ კვლევა ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

ნაშრომში ვეცადეთ აქცენტი დაგვესვა ორი მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობაზე. იმ ფაქტორებზე, რამაც განაპირობა იტალიის გამარჯვება. ამ გამარჯვებების როლი და მნიშვნელობა მსოფლიოს იმდროინდელ საერთაშორისო ურთიერთობებში.

## **ქეთევან საყვარაშვილი**

### **ორფუძიანი ბრუნების წარმოებისათვის ხუნძურ ენაში**

ხუნძური ენის ბრუნების კატეგორიისათვის, არნ. ჩიქობავას სიტყვებით რომ ვთქვათ, ცენტრალური მნიშვნელობის ფაქტია ორფუძიანი ბრუნების არსებობა (ერგატივის -ს და -X დაბოლოებათა შემთხვევაში). ამასთან, ხუნძურში გვაქვს ერთფუძიანი ბრუნებაც, შედარებით ახალი ფორმაციის - ა სუფიქსით.

ორფუძიანი ბრუნებისას ერგატივის ფორმა გამოყენებულია ფუძედ დანარჩენი ბრუნებისათვის, რაც დაღესტნურ ენებში გავრცელებლი მოვლენაა.

ასევე ორფუძიანი ბრუნების პრინციპს მისდევს ერგატივის -დ ფორმანტი, რომელსაც იყენებს ხუნძურის დიალექტთა უმეტესი ნაწილი და რომლის მაგივრობასაც ჩრდილოურ დიალექტსა და სალიტერატურო ენაში - ა ეწევა.

ერგატივის ნიშანთა მრავალფეროვნების პარალელურად, სახელობითი ბრუნვა ნულოვანი გაფორმებითაა წარმოდგენილი.

საინტერესოა, რომ ზოგ დაღესტნურ ენასა და ნახურ ენებში ორფუძიანი ბრუნებისას ნათესაობითის ფორმა გამოყენებული.

ვფიქრობთ, ისტორიულად ნომინატივის ნულოვან მარკირებას ხელი უნდა შეეწყოს მარკირებული ერგატივისა თუ ნათესაობითის ფორმობრივი ფუნქციის გააქტიურებისა და ორფუძიანი ბრუნების განვითარებისათვის. გარდა ამისა, ერგატივის ფორმა ხშირ შემთხვევაში იყენებს ფუძის განსხვავებულ ვარიანტს: ჩანს, სახელობითის უნიშნობამ შესაძლებელი გახადა ასეთი ცვალებადობა, რადგან ნომინატივის ფორმა არ არის მოქცეული მკაცრ მორფოლოგიურ ყალიბში.

ორფუძიანი ბრუნება, ცხადია, არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ მარკირების თვალსაზრისით. სახელთა სემანტიკურ-გრამატიკული კლასიფიკაცია, რომელიც ასახულია ბრუნვის ნიშანთა განაწილების პრინციპებში, უფრო მნიშვნელოვანი (მაგრამ — არა ერთადერთი) ფაქტორი ჩანს ორფუძიანი ბრუნების ჩამოყალიბებისათვის.

ორფუძიანი ბრუნების მქონე სხვა იბერიულ-კავკასიური ენების (სვანური ენა, ჩერქეზული ენა-კილოები) მონაცემთა შედარებითი ანალიზი ნახურსა და დაღესტნურ ენებთან გათვალისწინებულია მოხსენებაში.

## მარიამ სეხნიაშვილი

### ლიკა შენგელია

#### სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკური შეხედულებები

მე-19 საუკუნე გარდამტეხი პერიოდი ქართველი ერის ისტორიაში. ამ დროს მიმდინარეობს ქვეყნის რუსიფიკაცია, ელიტა გადასახლებულია რუსეთში. ყალიბდება ახლებური სოციალურ-პოლიტიკური დღის წესრიგი. სწორედ ამ საუკუნის 20-30-იან წლებში მოუხდა მოღვაწეობა სოლომონ დოდაშვილს. იგი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მრავალმხრივ განათლებული და ღრმად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც ბედის უკუღმართობის გამო 31 წლის ასაკში გარდაიცვალა, მაგრამ მიუხედავად ამისა, შეძლო და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ლიტერატურის, პუბლიცისტიკის, ფილოსოფიისა და სხვა დარგების განვითარებაში. სოლომონ დოდაშვილი მისმა მსოფლმხედველობამ, შეხედულებებმა მიიყვანა 1832 წლის შეთქმულებამდე. იგი ქვეყნის ინტერესებს საკუთარ თავზე მაღლა აყენებდა. საინტერესოა სად იღებს სათავეს და როგორ ყალიბდება ასეთი თვითშეგნება და თავგანწირვა განსაკუთრებით იმდროინდელი გაუცხოების ფონზე.

ჩვენ ვისაუბრებთ სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკურ შეხედულებებზე, რადგან ვფიქრობთ, რომ ამაზე მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს. დოდაშვილმა გლეხური წარმოშობისა და რთული სოციალური მდგომარეობის მიუხედავად შეძლო შესანიშნავი განათლება მიეღო, ადგილი დაემკვიდრებინა ქართველ თავადაზნაურთა შორის. გასათვალისწინებელია დოდაშვილის შეხედულება ქართველ თავადაზნაურთა და გლეხობას შორის ურთიერთობაზე, საქართველოსთვის შესაფერის პოლიტიკურ წყობაზე თუ რუსეთთან დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. საინტერესოა ასევე რას ფიქრობდა სხვა პოლიტიკურ ხედვებზე, რამდენად განიცდიდა გავლენას. მისი აზრით, განათლებას უნდა უზრუნველყო ყველა წოდების კეთილდღეობა. მაშინ, როდესაც ბატონიშვილები ოცნებობდნენ ძველი მონარქიის აღდგენაზე სოლომონ დოდაშვილი პარლამენტარული სახელმწიფოს შექმნის იდეას იცავდა.

სოლომონ დოდაშვილი შეთქმულთაგან იყო ერთადერთი პიროვნება, რომელსაც სამშობლოდან გადასახლება მიუსაჯეს. ეს კიდეც ერთი ხაზგასასმელი საკითხია მის ბიოგრაფიაში. იგი ტრაგიკულად გარდაიცვალა 31 წლის ასაკში საქართველოდან შორს.

საისტორიო წყაროებში, ლიტერატურაში გვხვდება განხვავებული მოსაზრებები, შეფასებები მისი პოლიტიკური თვალსაზრისის შესახებ. ჩვენი მიზანია, სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ წარმოვაჩინოთ შესაბამისი ლიტერატურა და წყაროები, ასევე შევაჯამოთ მისი პოლიტიკური შეხედულებანი.

## **ალექსანდრე უბირია**

### **ფაშიზმის ტრანსფორმაცია და გამოწვევები**

XX საუკუნეში ფაშიზმი ერთ-ერთ ძირითად იდეოლოგიად გვევლინება (ლიბერალიზმთან და სოციალიზმთან ერთად), რომელმაც 1945 წელს მარცხი განიცადა. თუმცა როგორც შემდგომში აღმოჩნდა ეს არ ნიშნავდა ამ იდეოლოგიის დასასრულს. ფაშიზმის პირველი ტრანსფორმაცია მოხდა XX საუკუნის პირველ ნახევარში (გერმანული ნაციზმზე გავლენის შედეგად - რასიზმზე ორიენტირი), თუმცა აღსანიშნავია ამ პერიოდში მასში ცვლილების შეტანის მცდელობა, რომელიც იტალიელი ფილოსოფოსის იულიუს ევოლას სახელთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, საყურადღებოა კლერიკალური ფაშიზმი, როგორც მოვლენა, რაც შეგვიძლია ტრადიციონალიზმის ფილოსოფიასთან და რენე გენონთან დავაკავშიროთ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იწყება ნეოფაშიზმისა და ნეონაციზმის ჩამოყალიბება, რამაც თანამედროვე პერიოდში ახალი ფორმების შექმნა განაპირობა. ამ კუთხით მეტად საყურადღებოა ლიბერალური ფაშიზმის არსის გაგება, რომელიც თანდათან აქტუალური ხდება და ნაციონალ-ბოლშევიზმის ფენომენი, რომლის ისტორია ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება. შედარებით უახლეს მოვლენას წარმოადგენს ეკოფაშიზმი, რომელიც უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური გახდა.

მოხსენების აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ მსოფლიოში მწვავედება ეკოლოგიური და ეკონომიკური მდგომარეობა, რაც თავის მხრივ, იწვევს მიგრაციულ პროცესებს და ამძაფრებს დაძაბულობას ერებს შორის. ამასთან ერთად რესურსების დეფიციტი მდგომარეობას უფრო მეტად ამძიმებს, იგი, თავის მხრივ განაპირობებს იდეოლოგიურ დაპირისპირებას, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფაშიზმის სხვადასხვა მიმდინარეობას.

## **ზაზა ქარჩავა**

### **ერთი ამბავი უნივერსიტეტის ისტორიიდან (დოცენტ ალექსანდრე წერეთლის საქმე)**

საქართველოში ძველი მსოფლიოს ისტორიის სამეცნიერო შესწავლა ერთ საუკუნეზე მეტ პერიოდს მოითვლის. ძველი ისტორიის მიმართულებით კვლევა-ძიებას საფუძველი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიოს ისტორიის კათედრაზე ჩაეყარა. მოგვიანებით, მსოფლიოს ისტორიის კათედრა ეპოქების მიხედვით დაიყო და ახლადდაარსებული ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრის პირველ ხელმძღვანელად პროფ.

ალექსანდრე წერეთელი აირჩიეს. სწორედ, ალექსანდრე წერეთელი, პროფ. გრიგოლ ნათაძესთან და აკად. სიმონ ყაუხჩიშვილთან ერთად, დგანან ძველი მსოფლიოს ისტორიის ქართული სამეცნიერო სკოლის სათავეებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ალექსანდრე წერეთლის სამეცნიერო მემკვიდრეობა ნაკლებადაა ცნობილი და შესწავლილი, არადა ეს მემკვიდრეობა, საკმაოდ, მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანიცაა. ამჯერად, ჩვენი ყურადღების თვალსაწიერში ექცევა ალექსანდრე წერეთლის მიერ 1928 წელს გამოცემული ძველი აღმოსავლეთის ისტორიის პირველი ქართულენოვანი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. ამ სახელმძღვანელოს გამოცემას მალევე მოჰყვა აჟიოტაჟი, კერძოდ, ალექსანდრე წერეთელს ბრალი დასდეს, რომ მისი ნაშრომი წარმოადგენდა რუსი ისტორიკოსის მიხაილ ხვოსტოვის იმავე სახელწოდების ნაშრომის პლაგიატს. უკანასკნელ პერიოდში, კერძოდ, 2014 წელს გამოქვეყნდა არჩილ კობხრეიძის ნაშრომი სახელწოდებით, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის უცნობი ფურცლები ნ.1 (დოკ. აღ. წერეთლის საქმე)“, რომელიც სწორედ 1928 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოსა და მის გარშემო დაწყებულ სამეცნიერო დავასა და დისკუსიას შეეხება.

ჩვენი მოხსენება მიზნად ისახავს გამოარკვიოს, რასთან გვაქვს საქმე, უბრალო დამთხვევასთან თუ მიზანმიმართულ პლაგიატთან, ამასთანავე, მართებულად მივიჩნიეთ სათანადოდ განგვეხილა არა მხოლოდ ბრალდება, ანუ პლაგიატის საკითხი, არამედ ამ ბრალდების გამომწვევი მიზეზები და წარსულსა თუ დღევანდელ ეპოქაში ბრალმდებელთა მოტივაცია.

მოხსენებაზე მუშაობის პროცესში ნათლად გამოჩნდა, რომ 1929 წელსაც და 2014 წელსაც ბრალმდებლებს არა სიმართლის დადგენა აინტერესებდათ, არამედ პირადი მოტივებით მოქმედებდნენ და ცდილობდნენ შეეღახათ ალექსანდრე წერეთლის სახელი. ის მსგავსება კი, რაც ხვოსტოვისა და წერეთლის სახელმძღვანელოებს შორის შეიძლება არსებობდეს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აიხსნას მიზანმიმართული პლაგიატით. ეს მსგავსებები სავსებით ჯდება იმ ჩარჩოში, რაც ორ სხვადასხვა ენაზე დაწერილ სახელმძღვანელოს შორის შეიძლება იყოს.

## **მარიამ ქვლივიძე**

### **პატარძელის ზეპირსიტყვიერება**

პატარძელი თავისი ზეპირსიტყვიერების მდიდარი სამყაროთი მრავალსაუკუნოვან ისტორიას ითვლის. თვით მისი სახელის ეტიმოლოგია ლეგენდებად მოთხრობილი გადადის თაობიდან თაობაში. ნახევრად მიწაში ჩამარხული საყდრები, მეთვრამეტე საუკუნის შენობა-ნაგებობები, მითიური ელიას მთა, კოპალეს სალოცავი და ხალხური სიბრძნის ამოუწურავი მადანი დღემდე არ არის სრულად გამოკვლეული და შესწავლილი.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება პატარძელში ჩანერილი

ფოლკლორის სხვადასხვა ჟანრის ნიმუშები და მათი თავისებურება, ტექსტების გავრცელების არეალი და ვარიანტები; მათ შორის, ზოგი გამოქვეყნებული და ზოგი ჯერაც უცნობი ფოლკლორული ნაწარმოები.

XIX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული დღემდე პატარძელში გავრცელებულ ფოლკლორის ნიმუშებს იწერდნენ ისეთი ცნობილი ფოლკლორისტები, როგორებიც იყვნენ ზაქარია ბილანიშვილი, გიორგი ლეონიძე, ვარლამ მაცაბერიძე და სხვები. სხვადასხვა დროს ფოლკლორისტებმა პატარძელში ჩაინერეს ქართული ზეპირსიტყვიერების ცნობილი ნიმუშები: „შავლეგო“, „ლექსი ვახტანგ გორგასალზე“, „პატარა კახი“ და სხვ.

პატარძელის ზეპირსიტყვიერების შესწავლისა და მოძიების პროცესში ჩავინერე ხალხური ლექსი პატარძელის ციხეზე, ლექსი გოგია ჭიჭოშვილზე, ერეკლე მეორესთან დაკავშირებული გადმოცემები, გვართა წარმომავლობის ისტორიები, სახელებისა და მეტსახელების შერქმევის ტრადიცია, ციხე-კოშკებისა და ძველი აფთიაქის, ხალხური მკურნალობის აღწერილობები, გამოცანა, თვალნაცემისა და შეშინებულის შელოცვის ტექსტები და რიტუალები; ელიას სალოცავის, ელიას მთისა და კოპალეს საყდრის აღწერილობები, აგრეთვე, მათთან დაკავშირებული თქმულება-ლეგენდები.

პატარძელში შეკრებილი ფოლკლორული მასალა ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ ჩანერილ ტექსტებს დაეძებნებათ ვარიანტები საქართველოს სხვადასხვა კუთხის ზეპირსიტყვიერებასთან, მაგ.: ლექსს პატარძელის ციხეზე აქვს ფშაური ვარიანტი, სახელად „თხისტყავიანი“. პატარძელის ზეპირსიტყვიერებამ დღემდე შემოგვინახა მძიმე ისტორიულ წარსულთან დაკავშირებული ტექსტები: დამპყრობლების მიერ გატაცებულ ქართველ ტყვეთა არაადამიანური მოპყრობის დამადასტურებელი მასალა. ერთ-ერთ ხალხურ ლექსში, რომელსაც მოხსენებაში განვიხილავთ, საუბარია პატარძელეული ტყვე ქალის უმწეო მდგომარეობაზე. ჭირის გვერდით ამ ხალხს ჰქონდა ღვინის გზაც და დიდებული სადღეგრძელოები, რომლებიც ფოლკლორის უბადლო ნიმუშებად იქცნენ და პატარძელელები დღესაც ხელს დაადებენ იმ დიდებული თამადის შთამომავლებს, რომელსაც გიორგი ლეონიძე თავის „ნატვრის ხეში“ მთლიან თავს უძღვნის.

## ვაჟა ქორიძე

### რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა ევროპის ენერგოსაფრთხოებაზე

1982-1984 წლებში ტრანს-ციმბირული მილსადენის აგების შემდეგ, რუსეთმა ევროპის ენერგეტიკაზე ძლიერი ზეგავლენა მოახდინა. რუსეთის უდიდესმა მინერალურმა რესურსებმა და ევროპასთან მისმა სიახლოვემ, ბუნებრივი ეკონომიკური პარტნიორობა წარმოშვა. დღეს ნათელია, რუსეთს არა მხოლოდ გააჩნია შეუზღუდავი ბერკეტი, არამედ მიღებული შემოსავლებით ის უზრუნველყოფს კრემლის ექსპანსიონისტური პოლიტიკის დაფინანსებას. ევროპაში რუსეთთან მიმართებაში პოლიტიკის მყისიერი ცვლილება არ გამოუწვევია საქართველოსთან 2008 წლის ომისა და 2014 წელს ყირიმის ანექსიის ფაქტს. პირიქით, ამ პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება. ხოლო უკრაინაში ფართომასშტაბიანი შეჭრის შემდეგ, დაიწყო რუსეთზე დამოკიდებულების შეწყვეტის პროცესი და დივერსიფიკირების გზების ძიება.

2021 წელს ევროკომისიამ წარმოადგინა პროექტი “Fit For 55”, რომელიც 2050 წლისთვის ემისიებისგან სრულ გათავისუფლებას გულისხმობს. ნიაღისეული საწვავიდან მწვანე ტექნოლოგიებზე გადასასვლელად საჭიროა ისეთი მინერალები, როგორიცაა კობალტი, ტიტანიუმი, პალადიუმი და სხვა. არსებობს შეხედულება, რომ უკრაინის მიმართ, რუსეთმა ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია განახორციელა, როგორც ევროპის პოტენციური მომმარაგებლის მიმართ, რომელიც ფლობს „იშვიათ ნიაღისეულ მინერალებს“ და გაზისა და ნავთობის რესურსს, რომლის გაზის დადასტურებული რეზერვი 1,2 ტრილიონი კუბური მეტრია, ხოლო ოფშორულ ზონაში 5 ტრილიონზე მეტი. ევროპამ უკრაინაში შეჭრის პასუხად წარმოადგინა გეგმა, რომელიც 2030 წლამდე რუსეთზე დამოკიდებულებისგან სრულ თავისუფლებას გულისხმობს.

ჩვენი საკვლევი კითხვა მდგომარეობს შემდეგში, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას ევროპის ენერგო უსაფრთხოება რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე და რა ალტერნატივები განიხილება მოწოდების დივერსიფიკაციისთვის? საკვლევი კითხვის პასუხად შეგვიძლია ჰიპოთეტურად ჩამოვყალიბოთ შემდეგი მოსაზრება: რუსეთ-უკრაინის ომმა ბიძგი მისცა ევროკავშირის ენერგო უსაფრთხოების სტრატეგიის ცვლილებას, რუსეთისგან ენერგო დამოუკიდებლობის პოლიტიკური კონტურების მკვეთრ ჩამოყალიბებას, რაც გამოიწვევს ევროკავშირის მიერ ნიაღისეული საწვავიდან განახლებად ენერგო რესურსებზე გადასვლის პროცესის დაჩქარებას. საკითხში უკეთ გასაცნობად საჭიროა შემდეგ კითხვებს გაეცეს პასუხი: 1. რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, რუსეთისგან ენერგო დამოუკიდებლობის მისაღწევად, ევროპის უსაფრთხოების რა მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვა არსებობს? 2. რა როლი უჭირავს თავად უკრაინას ევროპის ენერგო უსაფრთხოების

საკითხში? 3. განიხილება თუ არა კასპიის ზღვის რეგიონი ევროპის ენერგო უსაფრთხოების პრიზმაში?

რადგანაც საკითხი ეხება მიმდინარე პროცესს, შევეცდებით წარმოდგენა შევქმნათ ევროპის ენერგეტიკული გარდამავალი პროცესისა და პერსპექტივების შესახებ.



## თამთა ღონღაძე

### XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიული პროცესების მხატვრული ასახვა ვაჟა-ფშაველას პროზაში

ვაჟა-ფშაველამ თავის პროზაულ თხზულებებში – „ერემ-სერემ-სურემიანი“, „ჩემი მოგზაურობა ერემ-სერემ-სურემიანეთში“ – ასახა საქართველოში XVIII-XIX საუკუნეებში მომხდარი ისტორიულ-პოლიტიკური ცვლილებების ეროვნულ-სოციალური ასპექტები.

ვაჟა-ფშაველა ალევგორიულად ხატავს საქართველოს ანექსიამდელ პერიოდს, თუ რამ მიიყვანა ქართველები იმ მდგომარეობამდე, რომ მეფის რუსეთმა ადვილად აქცია საქართველო თავისი იმპერიის ნაწილად. ეს არის ხანა ქართველ ერზე მტრის მომრავლებისა და მომძლავრებისა, პარალელურად – ქვეყნის შიდა დაპირისპირებებისა, რამაც საბოლოოდ შეუძლებელი გახადა დამოუკიდებლობის შენარჩუნება; თხზულებაში „ჩემი მოგზაურობა ერემ-სერემ-სურემიანეთში“ მწერალი აჩვენებს, როგორ ცხოვრობს ქართველი ხალხი დამპყრობლის მმართველობის ქვეშ. ვაჟა-ფშაველა, როგორც სამოციანელთა მსოფლმხედველობისა და რეალიზმის პრინციპების გამგრძელებელი, ამხელს არა მხოლოდ მტერს, არამედ, მას, პირველ რიგში, სურს, ქართველები ჩაახედოს იმ სარკეში, რომლითაც ილია ჭავჭავაძე ცდილობდა ერის გამოფხიზლებას. ნიშანდობლივია, რომ ორივე თხზულებაში ვაჟა-ფშაველა იყენებს სწორედ სატირას, როგორც კრიტიკის საშუალებას. „ერემ-სერემ-სურემიანეთში“ ნაჩვენებია, რომ ერის მოუმზადებლობამ, წინდაუხედაობამ და ურთიერთქიშპმა საქართველო იმდენად დაასუსტა, რომ აღარ შეეძლო დაპირისპირებოდა მტრებს, რომელთაც საუკუნეების მანძილზე ებრძოდა.

ვაჟა-ფშაველას მხატვრულ პროზაში ვხვდებით ტირანიის ალევგორიულ სახეებს, რომლებშიც მკითხველი ადვილად ამოიცნობს რუსეთის იმპერიას. მწერალი პუბლიცისტურ წერილებშიც ხშირად აკრიტიკებს და ამხელს საქართველოს დამპყრობელს და მის მომხრე ქართველებს. ვაჟა-ფშაველამ ასახა საქართველოს რუსეთთან შეერთების მძიმე სოციალური შედეგებიც: ზნეობრივ-მორალური დაბეჩავება, გაუნათლებლობა. განხილულ თხზულებებში ვაჟა-ფშაველა სამოციანელთა ტრადიციულ აზრს მიჰყვება. მხატვრული თვალსაზრისითაც შესამჩნევია მათი გავლენა მწერალზე, თუმცა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებულია, ამგვარ ტექსტებშიც კი იცვლება ქართული ლიტერატურის მხატვრული პარადიგმა – იგი თავისუფლდება აშკარა მორალიზებისგან; ეროვნულ-სოციალური ალევგორია ხდება მაღალმხატვრული და მასში ჩნდება ვაჟა-ფშაველასთვის ნიშანდობლივი მითისქმნაობა.

## **ცოტნე ლულუნიშვილი**

### **ინგლისური ლექსიკური ერთეულის - “Feohtan- Fight”- სემანტიკისათვის**

მოხსენებაში წარმოდგენილია ძველი ინგლისური ზმნის “Feohtan” და თანამედროვე ინგლისურში მისი ეკვივალენტის შედარებითი ანალიზი. ასევე, განხილულია მათი ქართული შესატყვისი, ანუ კორელატი. კვლევა მოიცავს მოცემული სიტყვების ეტიმოლოგიას, სემანტიკას, შეპირისპირებით ანალიზს და მათი ქართული შესატყვისების სხვადასხვა მნიშვნელობას, მათ სინონიმებს, ამ ძირებიდან ნაწარმოებ სიტყვებსა და მათ გამოყენებას სხვადასხვა ფრაზეოლოგიურ ერთეულში.

ემპირიული მასალა მოპოვებულია კოლინზის, ოქსფორდის სასწავლო, კემბრიჯისა და დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ ლექსიკონებიდან. გარდა ამისა, გამოყენებულია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი და ქართული და ინგლისური ენების იდიომების ლექსიკონები. ემპირიული მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ ქართულსა და ინგლისურში მოცემული ზმნები საერთო მნიშვნელობითაც გამოიყენებიან, თუმცა ამავდროულად აქვთ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მნიშვნელობები. მაგალითად, თუკი ქართულში „მინასთან ბრძოლა“ მინათმოქმედებასთანაა დაკავშირებული, ინგლისურში ეს ასე არ არის.

გრამატიკული თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ძველი ინგლისურის “Feohtan”, თანამედროვე ინგლისურის “to fight” და ქართული „ბრძოლა“ ორპირიანი ზმნებია და ორივე ენაში წარმოდგენილი არიან როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებად. ამასთანავე, საყურადღებოა ისიც, რომ არცერთ ენაში საკვლევ ზმნას არ აქვს მოძველებული მნიშვნელობები, რომლებიც აღარ გამოიყენება, ყველა მათგანი მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია დღესაც. უფრო მეტიც, თუ ძველ ინგლისურში ზმნას “Feohtan” შედარებით შეზღუდული რაოდენობის მნიშვნელობები ჰქონდა, თანამედროვე ინგლისურში მისი სემანტიკა კიდევ უფრო მეტად გამდიდრდა და დამატებითი მნიშვნელობებიც შეიძინა.

## **გიორგი ყველაშვილი**

### **ძარცვა-ყაჩაღობის აღმნიშვნელი ინგლისური ლექსიკური ერთეულების სემანტიკისთვის**

მოხსენებაში განხილულია 4 ლექსიკური ერთეულის ეტიმოლოგია და სემანტიკა ეს ერთეულებია: Steal; Robbery; Heist; Burglary. თითოეული მათგანი წარმოდგენილია დიაქრონიულ ჭრილში. ამასთანავე, შესწავლილია ამ ლექსიკურ ერთეულებთან დაკავშირებული ფრაზული ზმნები, იდიომები და მეტაფორები.

თითოეული სიტყვის განხილვისას, პარალელი გავლებულია ქართულ კორელატებთან.

ზმნა, რომელიც ძველ ინგლისურ ენაში გამოიყენებოდა მოპარვის მნიშვნელობით, არის FORNAMAN, რომელიც თანამედრივე ინგლისურში აღარ გამოიყენება. მოხსენებაში ასევე შესწავლილია მეოთხე კლასის ძლიერი ზმნა STELAN, რომელიც სახეცვლილი ფორმით გამოიყენება თანამედროვე ინგლისურშიც.

კვლევის პროცესში შევისწავლე სიტყვის - “Steal” - სინონიმები, იდიომები და მეტაფორული მნიშვნელობები.

სიტყვა “Robbery” განხილულია ისტორიულ კონტექსტში. ასევე დასახელებულია ის მძარცველები, რომელთა მეშვეობითაც ამ სიტყვამ მიიღო ჩვენთვის ცნობილი მნიშვნელობა.

აქვე უნდა ვახსენოთ “Heist”, რომელიც ზემოთ აღნიშნულ სიტყვას ძალიან ჰგავს მნიშვნელობით, თუმცა მისი ისტორია რადიკალურად განსხვავებულია, სწორედ ამიტომ ვახსენებთ უილიამ შექსპირის „ჰამლეტს“, რომელშიც ვხვდებით ამ სიტყვას საინტერესო ფორმითა და მნიშვნელობით.

მოხსენებაში ასევე შესწავლილია სიტყვა “Burglary” და მისი სესხების პროცესი ფრანგული და ლათინური ენებიდან.

დასკვნაში შეჯამებულია კვლევის შედეგები და პასუხი გაცემულია ისეთ კითხვებზე, როგორებიცაა: რამდენად ხშირად გამოიყენება ამჟამად ან უკვე განხილული სიტყვები და რით განსხვავდება მათი სემანტიკა შესაბამისი ქართული კორელატების სემანტიკისაგან.

## ლუკა ყურუა

### ოპიუმის ომები და მისი შედეგები

XV-XVII საუკუნეები დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაა, რასაც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვა მსოფლიოს მასშტაბით. სავაჭრო გზებმა უპირატესად ოკეანეებზე გადაინაცვლა, რამაც არნახული მასშტაბი შესძინა ვაჭრობას ევროპასა და აღმოსავლეთს შორის. ევროპულ ბაზარზე დიდი მოთხოვნა არსებობდა ჩინურ ეგზოტიკურ საქონელზე, განსაკუთრებით აბრეშუმსა და ფაიფურზე. თვითონ ჩინეთში ნაკლებად აინტერესებდათ დასავლური საქონელი. ჩინეთი სავაჭრო გარიგებებს დებდა რუსეთთან, რომლის თანახმადაც ციმბირის მიწების სანაცვლოდ რუსეთი იღებდა ჩინეთთან ვაჭრობის უფლებას. საბოლოო ჯამში, ევროპასა და აღმოსავლეთს შორის არსებულმა სავაჭრო დისბალანსმა განაპირობა ის, რომ ევროპიდან აღმოსავლეთის მიმართულებით დაიწყო ძვირფასი ლითონების გადინება. ეს რეალობა ევროპულ ქვეყნებს და განსაკუთრებით ჩინეთის მთავარ ევროპელ სავაჭრო პარტნიორს, ბრიტანეთს, მწვავე ფინანსურ პრობლემებს უქმნიდა.

XVIII საუკუნის ბოლოსთვის ინგლისი აქტიურად ცდილობდა დაებალანსებინა სავაჭრო ურთიერთობა ჩინეთთან. საბოლოოდ, ბრიტანულმა ოსტ-ინდოეთის კომპანიამ (E.I.C.), რომელიც ფლობდა აღმოსავლეთთან ვაჭრობის მონოპოლიას, გამოძებნა საქონელი, რომელზეც მოთხოვნა არსებობდა ჩინეთში. ეს საქონელი იყო ნარკოტიკული ნივთიერება - ოპიუმი. მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობა არალეგალური იყო, მას ბრიტანეთის ხელისუფლება ხელს არ უშლიდა, ვინაიდან დიდ მოგებას იძლეოდა. 1939 წლის მარტში ქვეყნის ბაზარი დაიხურა ინდოელი და ბრიტანელი ვაჭრებისთვის. ჩინელი მოხელეები შეეცადნენ ამ უკანონო ვაჭრობის შეჩერებას, რაც 1840 წლის დეკემბერში დიდი ბრიტანეთის მიერ ცინგების იმპერიისთვის ომის გამოცხადების საფუძველი გახდა. ამით ჩინეთსა და ბრიტანეთს შორის დაიწყო ხანგრძლივი ომები, რომელიც „ოპიუმის ომების“ სახელითაა ცნობილი.

ოპიუმის ომებში გამარჯვებული მხარე დიდი ბრიტანეთი აღმოჩნდა, რამაც განაპირობა ჩინეთსა და ბრიტანეთს შორის ურთიერთიერების შეცვლა. მოცემულ ნაშრომში განხილული იქნება ოპიუმის ომების მიმდინარეობა, მათი მნიშვნელობა და შედეგები.

## **თამთა ჭუმბაძე**

### **ტოტალიტალური სახელმწიფოს იდეა ტომაზო კამპანელას „მზის ქალაქის“ მიხედვით.**

XVI საუკუნის ცნობილმა იტალიელმა ფილოსოფოსმა, თეოლოგმა, მწერალმა და დომინიკელმა ბერმა თავისი გნოსტიკური შეხედულებების გამო ინკვიზიციის საშინელი წამების შემდეგ ციხეში 27 წელი გაატარა. აქ მან დაწერა თავისი უტოპიური ტრაქტატი - „მზის ქალაქი“, ნეტარი ავგუსტინეს „ღვთის ქალაქის“ ინტერპრეტაციით.

კამპანელა, ინტერესებისა და მსოფლმხედველობის თვალსაზრისით, ეკუთვნოდა რენესანსს, თანმიმდევრულად ატარებდა არატრადიციულ იდეებს კონსერვატიულ ფორმებში. თავის მთავარ ამოცანად, მას მიაჩნდა უნივერსალური სამეცნიერო სინთეზი, რომელიც გააერთიანებდა ფილოსოფიურ, ბუნებრივ-მეცნიერულ და ჰუმანიტარულ ცოდნას. ბუნებრივი ერთიანობის კანონზომიერებიდან მან გამოიტანა კაცობრიობის სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობის იდეა, რომელიც კარგად ჩანს „მზის ქალაქში“. არარსებულ კუნძულ „ტაბრობანზე“ ტოტალიტალური მმართველობაა, სადაც სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმიდან ნებისმიერი გადახრა ისჯება. ცხოვრების ყველა ასპექტი კონტროლირდება და სწორედ ამის საშუალებით მიიღწევა უტოპიური „იდეალურობა“. ამავე დროს, ტრაქტატში ნაჩვენებია როგორ ცვლიან ადამიანის აზროვნებას დაბადებისთანავე, რათა გახადონ ისინი არაამბიციური და მორჩილი.

კამპანელას უტოპიური ნაწარმოები „მზის ქალაქი“, მართალია, თომას მორისეული „უტოპიის“ გაკათოლიკურების შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ კუნძულ „ტაპრობანზე“ საკუთრების უარყოფა, საყოველთაო შრომა, ოთხსაათიანი სამუშაოდღე, ამასთან სახელმწიფოს მეცნიერებისა და რელიგიის საფუძველზე მართვის ქადაგება, მართალია, ისტორიულად პროგრესული მოვლენა იყო, თუმცა მან გამოიწვია პიროვნების სახელმწიფოსადმი სრული დაქვემდებარება, რაც წინააღმდეგობაში იყო, ფლორენციელი ჰუმანისტების ნეოპლატონისტურ შეხედულებებთან.

საბჭოთა ისტორიულ და ფილოსოფიურ ლიტერატურაში იგი ითვლებოდა უტოპიური სოციალიზმის ერთ-ერთ პირველ წარმომადგენელად. თანამედროვე იტალიაში კამპანელა მიჩნეულია XX საუკუნის რეფორმირებული კათოლიკური ეგზეგეზის წინამორბედად. მისი დოქტრინები შეესაბამება როგორც კანონიკურ თომიზმს, ასევე ვატიკანის პირველი კრების დადგენილებებს. ის არის აღორძინების ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფილოსოფოსი, რომლითაც დასრულდა რენესანსის ტრადიციები.

## მარიამ სამიცაშვილი

### ინდიელ ქალთა სტერილიზაცია XX საუკუნის ინდიელთა რეზერვაციებში

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ადგილობრივი ინდიელი მოსახლეობის მიმართ გენოციდის ფორმები სხვადასხვა სახით იქნა გამოყენებული, იქნებოდა ეს რეზერვაციები, „ინდიელთა აქტი“, სკოლა-ინტერნატები თუ საშვის ნებართვის სისტემა. ამ ყველაფერთან ერთად კი ამერიკის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ მათი(ინდიელების) სახით წარმოქმნილი პრობლემა მარტივად გადაეჭრა და ინდიელ ქალებში დაეწყოს სტერილიზაცია, რაც ნიშნავდა ქალებისთვის დედობის უფლების წართმევას მათივე ნებართვის გარეშე. XX საუკუნეში მცირე საჯაროობა მიეცა სამოქალაქო უფლებების დარღვევის სხვა ფორმას, ქალთა რეპროდუქციული თავისუფლების ბოროტად გამოყენებას. ათასობით ინდიელი ქალი სტერილიზებულ იქნა 1970-იან წლებში, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მათზე ჩატარებული ქირურგიული პროცედურის ან მისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური შედეგების შესახებ ინფორმაცია არ გააჩნდათ, რაც რეპროდუქციული უფლებების დარღვევას წარმოადგენს. ტომობრივმა დამოკიდებულებამ ფედერალურ მთავრობაზე ინდიელების ჯანდაცვის სამსახურის (IHS), ჯანმრთელობის, განათლებისა და კეთილდღეობის დეპარტამენტის (HEW) და ინდიელების საქმეთა ბიუროს (BIA) მეშვეობით საფრთხე შეუქმნა მათ მომავალს, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ინდიელებს გამრავლების საშუალება აღარ ექნებოდათ, ეს კი გამოიწვევდა ინდიელი მოსახლეობის გაქრობას. სხვა ყველა დანაშაულთან ერთად შესაძლებელია ეს უკანასკნელიც განვიხილოთ, როგორც გენოციდის ერთ-ერთი ფორმა, რადგან გენოციდის დანაშაული განისაზღვრება, როგორც ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურების განზრახვა. „გენოციდის“ განმარტება მოიცავს მკვლელობას, მაგრამ ასევე მოიცავს ნაკლებად თვალსაჩინო ზომებს, როგორიცაა ჯგუფში მშობიარობის პრევენციას, რაც წარმოადგენდა იძულებითი სტერილიზაციის მიზანს.

ჩემი კვლევის საგანს ამერიკის მთავრობის მიერ გატარებული ზემოთხსენებული რეფორმა წარმოადგენს. ქალთა სტერილიზაცია და მის გარშემო განვითარებული საკითხი, რომელმაც მოიცვა XX საუკუნე, აქტუალობას არც დღევანდელ ეპოქაში კარგავს. დღემდე არსებობენ ამ დისკრიმინაციის მომსწრენი და მსხვერპლნი, რომლებიც ჯერ კიდევ ცდილობენ გადატანილ ტრავმასთან გამკლავებას. განსახილველ საკითხზე ქართულ სამეცნიერო თუ პოპულარულ სივრცეში ლიტერატურა არ არსებობს, შესაბამისად, ეს თემაც ქართველი მკითხველისთვის ჯერ კიდევ უცნობია და არ აქვს ფართო გამოხმაურება. ჩემი მიზანია, გავაცნო აუდიტორიას ა.შ.შ.-ის ტერიტორიაზე მცხოვრები ინდიელი ქალების ისტორიული წარსული, მათი ყოველდღიურობა,

რა პირობებში უწევდათ ქალებს ცხოვრება და როგორ ირღვეოდა მათი უფლებები ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური მთავრობის მხრიდან.

## მარიტა ხარშილაძე

### „ადამიანი რკინის ნილაბში“ და მისი ასახვა ევროპულ ისტორიოგრაფიაში

ბასტილიის ციხესიმაგრე დიდი ხნის განმავლობაში, საფრანგეთის ისტორიაში, ფრანგული დესპოტიზმის სიმბოლოდ ითვლებოდა. იგი XIV საუკუნეში სულ სხვამიზნით აიგო, მისი მთავარი ფუნქცია გახლდათ პარიზის დაცვა გარეშე მტრისაგან, თუმცა შემდგომ მან თავისი დანიშნულება შეიცვალა, „მეფე-მზის“-ლუი XIV-ის (1643-1715) - მმართველობის დროს, ბასტილიის ციხე ტირანიისა და აბსოლუტიზმის სიმბოლოდ გვევლინება. სწორედ ამ ციხესიმაგრეში ათავსებდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც სამეფო ხელისუფლებისთვის საშიში იყვნენ. ბასტილიის ციხეს ბევრი საინტერესო და იდუმალებით მოცული ისტორია უკავშირდება, რომელთა შორის აღსანიშნავია ცნობილი „კაცი რკინის ნილაბში“, რომლის ვინაობაც დღემდე სკეფსისის საბაბს იძლევა.

ისტორიკოსთა შორის რკინის ნილაბის ქვეშ მყოფი პიროვნების ვინაობა დღემდე კამათს იწვევს, საეჭვოა ისიც, რეალურად უნდა მივიჩნიოთ რკინის ნილაბის ისტორია, თუ ყოველივე ეს ალექსანდრე დიუმას ფანტაზიის ნაყოფად ჩავთვალოთ? გადმოცემათა მიხედვით, „კაცი რკინის ნილაბში“ საფრანგეთში ბასტილიის ციხის პატიმარი გახლდათ, რომლის სახეც ყოველთვის რკინის ნილაბით იყო დაფარული და მის სახელს არასოდეს არავინ წარმოთქვამდა. იგი ცხოვრობდა XVII საუკუნეში და ჩვენთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ 1703 წელს გარდაიცვალა ბასტილიაში. ნილაბიანი მამაკაცის ვინაობა მის სიკვდილამდე საიდუმლოდ რჩებოდა და მხოლოდ XVIII საუკუნიდან დაიწყო მის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებების გამოთქმა. ამ იდუმალებით მოცულ ისტორიაში, ჩვენს ყურადღებას იქცევს არა მარტო რკინის ნილაბი, რამაც გამოიწვია ფრანგი ხალხის ინტერესი, არამედ ის ფაქტიც, რომ ლუი XIV-მ ხელი მოაწერა ბრძანებას მისი დაპატიმრების შესახებ. ამ ფაქტმა ბასტილიის იდუმალ ტყვეს კიდევ მეტი პოპულარობა მოუტანა.

თეზისებში შევეცადეთ ევროპელი ავტორების მონოგრაფიების საფუძველზე, მათ შორის დავასახელებ რამდენიმეს: პაულ სონინოს „ძიება რკინის ნილაბიან მამაკაცზე“ (Paul Sonnino- “The search for the man in the iron mask”), ალექსანდრე დიუმას „კაცი რკინის ნილაბში“ (Alexandre Dumas- “The man in the iron mask”); ჟოზეფინ ვილკინსონის „კაცი რკინის ნილაბში“ (Josephine Wilkinson - “The man in the iron mask”), ჯოშუა ნიკოლსის- „კაცი რკინის ნილაბის ქვეშ“ (Joshua Nichols- “The man behind the iron mask”) - შეძლებისდაგვარად გამოგვეკვლია ეს იდუმალებით მოცული ისტორია და წარმოგვედგინა ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით.

## **ეთერ ნარეკლიშვილი**

### **მოსეს ხუთწიგნეული**

**(„დაბადება“, „გამოსვლათა“, „ლევიტელთა“, „რიცხვთა“, „მეორე რჯული“) და მისი პალეოგრაფიული ანალიზი**

ბიბლიის ხუთწიგნეულის, იგივე თორას, ავტორად მიიჩნევა მოსე, რომელმაც აღადგინა მამათა რჯული, თავისი ერი ეგვიპტელთა მონობისგან იხსნა და აუწყათ მათ ზეციერი განგება. მათი ერთიანობის და უცდომელობის მოწმობა გვხვდება თავად ბიბლიის სხვა წიგნებშივე.

მკვდარი ზღვის ჩანაწერების აღმოჩენამდე მიიჩნეოდა, რომ ძვ. აღთქმის უძველესი ებრაული ხელნაწერი იყო მასორეტული ტექსტი, ახ. წ. 800 წლით დათარიღებული. სწორედ ეს უკანასკნელი დაედო საფუძვლად არაერთ ბიბლიურ თარგმანს. თუმცა, მკვდარი ზღვის გრაგნილები თარიღდება უფრო ადრეული, კერძოდ, უფლის, იესო ქრისტეს მოღვაწეობის პერიოდით. ჩვენ ასევე გვაქვს სეპტუაგინტა, ბერძნული თარგმანი ძვ. აღთქმისა, რომელიც ქრისტეს შობამდე III (270 წ.) საუკუნეში დაიწერა.

მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიის ფილოლოგიური კვლევის ისტორია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლების სახელებთან არის დაკავშირებული, მაინც არაა საკითხი ჯეროვნად შესწავლილი, ვინაიდან ამ კვლევას სხვადასხვა ტიპის (იდეოლოგიური, მატერიალური) დაბრკოლებები ეღობებოდა წინ. ამ მიზეზთა გამო, კვლევის ფარგლებში გამოვყავი ბიბლიის პირველი ხუთი წიგნის უძველესი ხელნაწერი ნიმუშები.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება მასორეტული ტექსტები, ალეპოს და ლენინგრადის კოდექსები, სეპტუაგინტა და სამარიტელთა ხუთწიგნეული; გარდა ამისა, უძველესი ქართული ხელნაწერებიც, რომლებიც დღეს მოგვეპოვება და მკვდარი ზღვის ხელნაწერებიც, რომლებმაც ერთგვარი კოპერნიკული გადატრიალება მოახდინა ბიბლიის მკვლევართა სამეცნიერო სივრცეში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „დაბადების“, „გამოსვლათა“, „ლევიტელთა“, „რიცხვთა“ და „მეორე რჯულის“ წიგნების პალეოგრაფიული შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ფილოლოგიური, არამედ ფილოსოფიური და თეოლოგიური კუთხითაც, ვინაიდან მასზეა დაფუძნებული მსოფლიო რელიგია – ქრისტიანობა.



## **მარი სიმონიშვილი**

### **გივი მარგველაშვილის „კაპიტანი ვაკუში“**

#### **(გოგლიმოგლის სემანტიკა და ონტოლოგიური სივრცის ანალიზი)**

გივი მარგველაშვილი ორი დიქტატურის, ნაციზმისა და კომუნიზმის, მსხვერპლია, იგი ორმაგი ემიგრანტია, მისი მრავალმხრივი შემოქმედება ორი კულტურის, ორი განსხვავებული მსოფლმხედველობის მიჯნაზეა შექმნილი. მან წერა 30 წლის ასაკიდან დაიწყო, როცა საქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკის უკან მოტოვების შემდეგ თავი სრულიად უცხო გარემოში, ისტორიულ სამშობლოში ამოყო და მამიდის ოჯახს მიკედლებულს ძველ ყოფასთან მხოლოდ გერმანული ენაღა აკავშირებდა. „წარსულიდან მას მხოლოდ ენაღა შერჩა, ენა იყო წართმეული ცხოვრების ცოცხალი ნაწილი, რისი წართმევაც არავის შეეძლო დროის გარდა. დროს კი მისმა მეხსიერებამ და ტალანტმა არნახული წინააღმდეგობა გაუწია“ (მარგველაშვილი 2018 (ბ):216).

ერთი მხრივ, გერმანულენოვან ლიტერატურაზე მუშაობა, ხოლო, მეორე მხრივ, ის მწერლური შეურიგებლობა, რასაც მარგველაშვილი არსებული რეჟიმის წინააღმდეგ იჩენდა, სულ უფრო მეტად ქმნიდა იმის თქმის საფუძველს, რომ „ენა და თემა ირჩევენ მწერალს“ (ხაზგასმა ნაირა გელაშვილი) და არა პირიქით.

„კაპიტანი ვაკუში“ გივი მარგველაშვილის შემოქმედების ადრეულ პერიოდში შექმნილი ტექსტია, იგი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და ისტორიული რომანის ჟანრს წარმოადგენს. ჩვენი ყურადღების ობიექტი ამჯერად ამ ნაწარმოების პირველი ტომია. მწერალი გვიყვება იმ პერიოდზე, თუ როგორ იჭრება დასავლური კულტურა რიგი თავისებურებებით ნაცისტურ ყოფაში და როგორია ემიგრანტის თვალთ დასახული იმჟამინდელი რეალობა. ცხადია, მარგველაშვილისეული თამაშის სტილი ამ ტექსტშიც დაცულია და ავტორი ხშირად გროტესკულად, ერთგვარი ცინიზმითა და ალეგორიით, მეტაფორული შარჟებით გადმოგვცემს სათქმელს. რომანის ექსკურსს მოზარდი გივი მარგველაშვილი უძღვება, ისტორიზმის პრინციპი დაცულია, ფაქტებს რეალური სარჩული მოეძებნება, რეალურად მომხდარი ირონიულად გადმოიცემა და ტოტალიტარული რეჟიმების სახე მეტაფორული ქვეტექსტებით ამოიცნობა.

## ანა მინდიაშვილი

### ხელოვნებისა და დიქტატურის დაპირისპირების თემა ზურაბ ქარუმიძის რომანში „დაგნი, ანუ სიყვარულის ალაპი“

ზურაბ ქარუმიძის პოსტმოდერნისტული რომანი „დაგნი, ანუ სიყვარულის ალაპი“ მრავალ თემატურ პლანს აერთიანებს, მასში მწერალი საკუთარი ინტერპრეტაციის გზით ცდილობს ერთმანეთს დაუკავშიროს სხვადასხვა დროის მოვლენები ისტორიიდან, პოლიტიკიდან, ლიტერატურიდან, მუსიკიდან, მხატვრობიდან და ა.შ. ყველა ეს ამბავი საბოლოო ჯამში საქართველოს უკავშირდება და მოქმედების მთავარი ცენტრი აღმოსავლეთისა და დასავლეთის შესაყარზე მდებარე პატარა, მაგრამ დიდი წარსულის მქონე შემოქმედთა სამშობლოა, თავისი ამოუხსნელი იდუმალებითა და საკრალურობით. ეს თემათა სიჭრელე მკითხველთათვის შესაძლოა რთული და დამაბნეველიც აღმოჩნდეს და გაჩნდეს ლოგიკური კითხვა, თუ რას ემსახურება მოვლენათა მრავალგვარი ინტერპრეტირება და ერთმანეთთან შეკავშირება.

მოცემულ ნაშრომში მიზნად ვისახავთ განვიხილოთ ნაწარმოებში არსებული მთავარი პრობლემა, საპირისპირო მხარეთა წიდილის თემა, ზოგადად, აქ ერთმანეთს უპირისპირდება კეთილი და ბოროტი, არსებობა და არარსებობა, დემონი და ანგელოზი და ა.შ. ამ ფონზე ჩვენ ვისაუბრებთ რომანში ხელოვნებისა და დიქტატურის დაპირისპირების შესახებ, რომელიც მთელ სიუჟეტს გასდევს.

ტექსტის პირველ სიუჟეტურ პლანში მოთხრობილია მთავარი პერსონაჟის, ნორვეგიელი მწერალი და დრამატურგი ქალის, დაგნი იუელის, ტრაგიკული ამბავი, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა და აქ იგი ძველი თბილისის სასტუმრო „გრანდს ოტელში“ მისმა მეგობარმა ვლადისლავ ემერიკმა მოკლა. სწორედ ამ ხელოვან ქალს უკავშირდება ავტორი ოკულტურ (რელიგიურ-შემოქმედებით) რიტუალს - „სიყვარულის ალაპს“. მის აღსასრულებლად სიუჟეტის მეორე პლანში შემოქმედი ადამიანები ერთიანდებიან. ეს ალაპი არის ზეცაში სიყვარულის გასაგზავნი „მსხვერპლი“, რომელმაც კაცობრიობას უნდა აარიდოს ბოროტი წინასწარმეტყველება ანუ ტოტალიტარიზმის დამყარება, მასების ქკუიდან შეშლა, მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, ხელოვნების სპილოს ძვლის კოშკში გამოკეტვა.

ნაწარმოების დასაწყისშივე ვიგებთ, რომ წინასწარმეტყველება მაინც აღსრულდება, ხელოვანთა ბრძოლა რიტუალის განსახორციელებლად ფუჭი იქნება და მწერალმა ზუსტად იცის, რომ მას ცრუ-შამანები ჩაშლიან ანუ ისტორიის შეცვლა შეუძლებელია (რიტუალი მართლაც სტალინმა ჩაშალა). მაინც შეცდებიან ქკუიდან მასები („ნახირი“) და მასობრივი ხოცვა-ჟლეტა დაიწყება. ეს მოვლენა „მთვარეზე ძროხის გაფრენას გულისხმობს“, რაც იმას ნიშნავს, რომ ხალხს აღარ ეცოდინება რა იყო ხელოვნება, განადგურდება გამონაგონი, როგორც შემეცნების საშუალება.



